ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა"+ ნობელი 8 ლარი 6 დეკემბრიდან




ხუთშაბათი, 8 დეკემბერი, 2011 №291 (5671) ფასი: 30 თეთრი

# მამუკა ღლონტი: „მაესტროს" სააკაშვილი ებრძვის"

ბიძინა ივანიშვილი „მაესტროს" ვეღარ იყიდის



გვ. 4

## ნანა დევდარიანი: „ეროსი კიწმარიშვილი ფულის გამო ყველაფერზეა წამსვლელი"

ხელისუფლება პრესასთან ვაჭრობას დაიწყებს



გვ.2

## ხელისუფლება თრუსოს ხეობას გვაკარგვინებს



გვ. 3

## გიორგი ცაგარეიშვილი: „კოდუებს ქონებას ართმევენ"



გვ. 4

## ვახტანგ ყოლბაია: „ხელისუფლება საარჩევნოდ პირადობის მოწმობებს მიცვალებულებზეც გასცემს"



გვ. 3

## დიმიტრი ლორთქიფანიძე ხათუნა კალმახელიძისაგან წერილს ელოდება





პატიმრების მინისტრი ისეთ ციხეს აშენებს, სადაც გისოსები არ იქნება

გვ. 5

## გია ხუხაშვილი: „ივანიშვილს პოლიტიკური კამპანიის დაფინანსების პრობლემა არ ექნება"



გვ. 2

## ნესტან კირთაძემ სამშვიდობო ინსტიტუტი შექმნა



გვ. 6

## კახა ძაგანია: „ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთში არაფერი ესაქმებათ!"



გვ. 5

ISSN 1987-9385

7 სააკაშვილი საავადმყოფოებს მარტო პიარისთვის ხსნის

4 ჯონდი ბაღათურია: „საქართველოში კვლევის შედეგების გაყალბება ტრადიციად იქცა"

10 ვეტერანების ერთადერთი ჰოსპიტალი გაუქმების პირასაა

5 პოლიტიკოსთა ნაწილი პოლიტიკურ კვლევებს არ ენდობა

# ნანა დევდარიანი: „ეროსი კიწმარიშვილი ფულის გამო ყველაფერზეა წამსვლელი“

## ხელისუფლება პრესასთან ვაჭრობას დაიწყებს

თამარ ნინიძე

**მედია საშუალებებთან დაკავშირებით ხელისუფლების შეტევის ახალ გამოვლინებებზე „ახალ თაობას“ ჟურნალისტი ნანა დევდარიანი ესაუბრა.**

***— როგორ აფასებთ „მაესტროსთან“ დაკავშირებით შექმნილ ვითარებას?***

— ეროსი კიწმარიშვილთან დაკავშირებით მუდამ ასეთი ვითარება იყო, დაწყებული მაშინ, როცა ლევან მამალაძის თაოსნობით ეს კომპანია დაფუძნდა, ჯერ იყო ტელეკომპანია „რუსთავი“, ქალაქ რუსთავში დაფუძნდა ქალაქის მერიის ფულით, მთელი აპარატურა მოზიდული იყო მერიის მიერ. ზუსტად ამ სქემით ეროსი კიწმარიშვილმა გადაწყვიტა, რომ ის, რაც მერიის ფულით იყო შექმნილი, მარტო მას ეკუთვნოდა, მერე ამას მოჰყვა სასამართლო პროცესები. მერე დააფუძნა „რუსთავი–2“, გახსოვთ ალბათ ამ „წარმატებულმა“ მენეჯერმა როგორ გააკოტრა თავისივე კომპანია. ერთი წლით ადრე, როცა „რუსთავი2–ში“ შემოწმებით შევიდნენ, მაშინ ერთი ამბავი ატეხა, ხალხო, გვიშველეთ თავისუფალი სიტყვა იჩაგრება და ჩვენი დახურვა უნდათო, სინამდვილეში ის თანხები, დამალული გადასახადები რევოლუციის შემდეგ მისმა მეგობრებმა აღმოუჩინეს. ვალი იყო ექვსი მილიონის ოდენობით. ამის გამო მან სასამართლოში აღძრა საკითხი გაკოტრების შესახებ და მერე „რუსთავი–2“ ხელში ჩაიგდო ხელისუფლებამ. ის, რაც „მაესტროსთან“ დაკავშირებით ხდება, მესამე შემთხვევაა. ეროსი კიწმარიშვილს თავისუფალი სიტყვა სულ არ ადარდებდა, ეს იყო მისთვის ისეთივე პოლიტიკური ინსტრუმენტი, როგორც თავის დროზე იყო „რუსთავი–2“, ამაში ორი აზრი არ არის. ეროსი მშვენივრად ახერხებდა „რუსთავი–2–“ით ხელისუფლების დაშანტაჟებას და იმ გუნდის დაშანტაჟებასაც, ვინც ახლა არის ხელისუფლებაში. ამ შემთხვევაშიც იჩქარა, რომ ჰქონოდა სავაჭრო თემა ორივე მხარესთან. ხელისუფლება მას ხელს არ ჰკიდებს. მე და თქვენ რომ გადავიდეთ რომელიმე ტელეკომპანიის ლობეზე, ხომ წარმოგიდგენიათ, რას გვიზამენ. როგორც უნდა შეფუთოს ეს ვითარება კიწმარიშვილმა, ამას არავითარი კავშირი არა აქვს თავისუფალ სიტყვასთან და მედიასთან. ჩემი სუბიექტური შეხედულებაა, ეს არის კაცი, რომელიც ფულის გულისთვის წამსვლელია ბევრ რამეზე. ამ შემთხვევაშიც წავიდა ბოლომდე.

***— მეორე მხარე, მამუკა ღლონტი ფრთიანი ანგელოზია, წილი ჯერ გაჩეჩილაძეებს დაუთმო, მერე გოგელია შემოიყვანა კომპანიაში ანუ არხი უკვე განწირული იყო იმისათვის, რომ პოლიტიზებული ყოფილიყო. გამოდიოდა, რომ არხს „ქართული პარტია“ აფინანსებდა?***

— მე ამას ასე არ ვუყურებ. ყველამ უნდა ისწავლოს, რომ დავუშვათ ვიღაცამ დააფინანსა ტელევიზია, ერთი წამითაც არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ ეს მას აძლევს უფლებას ჩაერიოს ჟურნალისტების მუშაობაში. ჩვენთან „ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს“. რესტორანი არ არის ტელევიზია და თუგინდ გაზეთი. თუ მე ვთვლი, რომ ეს გაზეთი სწორ პოლიტიკას ახორციელებს, პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული და მინდა, მას მხარი დავუჭირო, ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ დაგავალოთ, ამაზე კარგი თქვით და ვიღაცაზე ცუდიო. კოტე გოგელია იყო თუ არ იყო „ქართულ პარტიაში“, დღემდე გაურკვეველია. რამდენადაც ვიცი, საქართველოს მოქალაქე არ არის. მარტო ბიძინა ივანიშვილისთვის არ შეიძლება პოლიტიკაში ყოფნა თუ მოქალაქე არ არის? სხვისთვისაც არ შეიძლება. თანხას იღებდა ეროსი კიწმარიშვილი და არა მამუკა ღლონტი. როგორც მაკა ასათიანის განცხადებიდან ირკვევა, სულ ცოტა 500 ათასი დოლარი ჰქონია ვალი, ეს ნახევარი მილიონია და ხუმრობა არ არის. კიწმარიშვილს და ღლონტს ერთ დონზე ვერ დავაყენებ. კიწმარიშვილიც ამბობს, შეადარეთ ჩემი გაკეთებული ტელევიზია და მამუკასიო.

***— დიახ, მართლაც აპელირებს იმით, რომ ტელევიზიის გაკეთება იცის.***

— საქმე ის არის, რომ ეროსი საერთოდ ხელს იბანდა, „მაესტროში“ რა ხდება არ ვიციო. მხოლოდ მენეჯმენტს ვახორციელებო. ახლა რა გაკეთებულ ტელევიზიაზე ლაპარაკობს. „რუსთავი–2“ იყო და საინფორმაციო პროგრამა ჰქონდა „კურიერი“ და „ღამის კურიერი“, რა გაკეთებულ გადაცემებზე ლაპარაკობს? მე მათი გადაცემა არ მინახავს. „მაესტროზე“ რამდენიმე გადაცემაა, რომელსაც სიამოვნებით ვუყურებ. ვასიკო ოდიშვილის იუმორისტული გადაცემა ბევრად უფრო კრიტიკულია, ვიდრე ბევრი პოლიტიკურობის პრეტენზიის მქონე შოუ. ქვეყანაში იმდენად მახინჯი ვითარებაა, ტელევიზიაში ბიზნესმენებს რეკლამა არ მიაქვთ, ეშინიათ, რომ მიადგებიან და კომპანიას დაუხურავენ. როცა არანაირი დაფინასნების წყარო არ იყო, რა უნდა გაეკეთებინა მამუკა ღლონტს? მაშინ საერთოდ უარი უნდა ეთქვა ყველაფერზე და დაეხურა ტელევიზია.



ნანა დევდარიანი

***— ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ ეს აქტიურობა მას მერე დაიწყო, როცა წინა საღამოს ეკა ბერიძესთან ეთერში მისული ივანიშვილი ნახა. დაეჭვდა, რომ შესაძლებელი იყო ივანიშვილს ფული ჩაედო ტელეკომპანიაში. რეალურია ეს ეჭვები?***

— ეროსი ამბობს, რომ ის არის მმართველი კომპანიის დირექტორი, წესით მას უნდა გახარებოდა ინვესტორის გამოჩენა. ეროსი რომ აყვედრიდა ჟურნალისტებს, მე გიხდით ხელფასსო, თავისი ჯობიდან არ უხდიდა ხელფასებს. ის იზიდავდა თანხებს, რაღაც ნაწილს იტოვებდა თავისი კომპანიისთვის, მეცენატი კი არ არის კიწმარიშვილი, რომ მთელი ფული ტელევიზიისთვის მოეხმარა, ნაწილი თავისთვის მიჰქონდა. უნდა გახარებოდა, მილიარდერი კაცი გამოჩნდა და ტელევიზია შეიძლება გავაფართოვოო, დავტვირთავ ტელევიზიის მთელ ბადესო. ივანიშვილმა უსაყვედურა, სულ სამი–ოთხი გადაცემა გაქვთო. მეორეც, ვინ ეკითხება კიწმარიშვილს, მეწილეები ვის მიყიდიან წილს და ვის მიიყვანენ ტელევიზიაში. ის არის დაქირავებული მენეჯერი. ამიტომ ნურავის ატყუებს, ჩალით კი არ არის დახურული ეს ქვეყანა. არავითარ კავშირში ეს იმასთან არ არის, რაც მან ჩაიდინა. მისი მოტივაცია გასაგებია, მე ვარ სუბიექტი, თუ რამეზე გარიგება იქნება, მე არ გამომტოვოთო. არავითარი უფლება არც „მაესტროს“ ლიცენზიაზე, არც მის მაუწყებლობაზე, მით უფრო სარედაქციო პოლიტიკაზე არა აქვს. ის შეიძლება დაჯდეს დამფუძნებლებთან ერთად და განიხილოს ტელეკომპანიის განვითარებისთვის როგორი პროგრამა სჭირდება, რა სახის შოუებია ყურებადი ან გვინდა თუ არა, მაგალითად, საბავშვო შოუები. გადაცემები კოლექტივმა უნდა გააკეთოს.

***— ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენასთან დაკავშირებით მინდ გკითხოთ, ბევრი საუბარია იმაზე, რომ ივანიშვილმა შეიძლება რაღაც ტელეარხი იყიდოს, გაზეთი დააფინანსოს და ა.შ. როგორც გამოცდილ ტელეჟურნალისტს, გკითხავთ, პოლიტიკოსი უნდა აკონტროლებდეს მედიასაშუალებებს?***

— ბიძინა ივანიშვილი ფორმალურად პოლიტიკოსი ჯერ არ არის. კიწმარიშვილი „ქართული პარტიის“ ერთ–ერთი ლიდერი ხომ არის? რომ შევარდა ტელევიზიაში და პირდაპირი ექსპანსია განახორციელა, დაიპყრო არხი, ის რა დღეგამოშვებით არის პოლიტიკოსი? ივანიშვილს ბინძური მეთოდებით რომ ემოქმედა, რამდენიმე ტელევიზია ექნებოდა ჯიბეში ჩადებული ისე, რომ არავის არაფერი ეცოდინებოდა.

***— რატომ შეცდა და დახურა მეცხრე არხი, მე როგორც ვიცი, ამის თაობაზე ნანობს?***

— შეცდომა იყო, მაგრამ იმ პერიოდში ეროსის ჰქონდა განცხადება გაკეთებული ახალ ხელისუფლებას უნდა ვაცალოთ და მის მიმართ ლოიალური უნდა ვიყოთო. ბატონი ბიძინა მაშინ პოლიტიკაში არ იყო, მეცხრე არხი ფუნქციონირებდა მშვენივრად, მაგრამ ივანიშვილი მის სარედაქციო პოლიტიკაში არ ჩარეულა, ეროსიმ იმ პერიოდში თავი მოგვაბეზრა ლაპარაკით, რომ წარმატებული და გამარჯვებული ხალხის ტელევიზია შექმნა. ყველამ საკუთარ ბიოგრაფიაში ჩაიხედოს. ეტყობა ჰგონიათ, რომ ყველაფერი დაგვავიწყდა.

***— თქვენ პირველ არხზე მუშაობდით კომუნისტების დროს, მინდა შეადაროთ, როდის უფრო თავისუფალი იყო ტელევიზია, კომუნისტების, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს თუ ახლა, სააკაშვილის პერიოდში?***

— ყველაზე თავისუფალი ტელევიზია იყო შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს. შეიძლება მისი ბიოგრაფიის კაცი გალიზიანებული ყოფილიყო, მაგრამ შევარდნაძე მარტო „დარდუბალას“ ახსენებს ხოლმე. სხვა პროგრამებში ცოტა იყო მის მიმართ კრიტიკა? ყველაზე მეტი ტყუილი გადიოდა „რუსთავი–2“–ზე. ეკა ხოფერია ამბობდა ხელისუფლების წარმომადგენლების მიყვანა გვინდოდა თოქშოუზე, მაგრამ ვერავინ ვნახეთო, ბადენ-ბადენის ვილა რომ აჩვენეს და თქვეს შევარდნაძის არისო, ცოცხალი ტყუილი იყო. უნდა შერცხვეს კიწმარიშვილს, იმდენი ცუდი აქვს გაკეთებული. ყველაზე კარგი საზოგადოებრივი არხი ნუგზარ ფოფხაძის დროს იყო. არ იყო კონიუნქტურის ტელევიზია. მე თუ დოკუმენტურად დავასაბუთებდი რაღაცა თემას და ეს იყო ვინმეს კრიტიკა, ის აუცილებლად გადიოდა ტელევიზიაზე. დღეს ამ არხს ძალიან უჭირს, გამოცხადდა როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელი და დარჩა როგორც სამთავრობო ტელევიზია. მე ამდენი ტყუილი კომუნისტების დროს არ მინახავს, როგორც ახლაა.

***— პრესასთან დაკავშირებით ისევ ატყდა ხმაური, ისევ ცდილობენ ამჯერად ბიზნესის საბაბით პრესის შევიწროებას. ამაზე როგორია თქვენი აზრი?***

— გამადიდებელი შუშა არ გვჭირდება ისე მივხვდებით, რაც ხდება პრესასთან დაკავშირებით. საბჭოთა პერიოდში პრესა დოტაციაზე იყო და კაპიკები ღირდა. ახლა როგორ შეიძლება გაზეთი იყოს მომგებიანი? ახლა გამოცხადდა აუქციონში გამარჯვებულთა შორის კომპანია „კოდა“, „ნუგეში“ და სხვებიც. იქ, სადაც ადრე გაზეთი იყო, გაიყიდება კვერცხი, კვების პროდუქტები. გამოდის, რომ ვრჩებით ე.წ. კრიკუნების ამარა. ერთ მშვენიერ დღეს რომ ამ კრიკუნებსაც ჩამოუარონ და აყარონ ადგილიდან?

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ ზოგიერთი წარმომადგენელი პრესის, მაგალითად, „კვირის პალიტრა“ დიდი ბიზნესით არის დაკავებული.***

— ყველა გაზეთი, მათ შორის არამომგებიანიც, ბიზნესია. ის ჰოლდინგია, მასში სხვადასხვა მედიასაშუალება შედის. როცა მონოპოლიაზე საუბრობენ, ჯერ მიხედონ ცეზარ ჩოჩელს როგორც ხორცის მონოპოლისტს. „ელვა სერვისს“ ბევრი უპირატესობა აქვს, მაგრამ ერთია როცა კერძო სტრუქტურა საკუთარ პრესას ავრცელებს, მაგრამ მეორეა მონსტრი სახელმწიფო, რომელიც ამის გამო ყველა დანარჩენს ართმევს საშუალებას, რომ გაყიდოს თავისი პროდუქცია. აუქციონის შემდეგ გაყიდულ ჯიხურებში პროდუქტებით იქნება ვაჭრობა, იქ არავის დააინტერესებს პრესის ყიდვა. ჩაიარეთ ქალაქში, რამდენი ლატარიის ჯიხურია, ეს ჯიხურები კეზერაშვილისაა. სად დევს ამ ჯიხურებში ჟურნალ-გაზეთები? ტაბულა და ლიბერალი დევს მხოლოდ. საბაზრო ინსტრუმენტით კლავენ პრესას.

***— რაში ხედავთ გამოსავალს?***

— მე ვფიქრობ, ძალიან კარგი იმპულსი იყო ბიძინა ივანიშვილისგან, მასთან ერთად გასაკეთებელია ალტერნატიული გავრცელების სამსახური ან გამოწერითაც უნდა გავრცელდეს.

***— პრესისადმი ხელისუფლების ეს სიძულვილი სააკაშვილის პირველივე ფრაზიდან მოდის, როგორც კი ძალაუფლება აიღო, რომ ის არ კითხულობს გაზეთებს. ამას მოჰყვა ბოკერიასა და ნადირაძის აგდებული დამოკიდებულება პარლამენტში პრესის ჟურნალისტების მიმართ. ჩვენი ბრალი ხომ არ არის, ხელისუფლება ამდენს რომ ბედავს?***

— არა, ჟურნალისტების ბრალი არაფერია, თუ არ უნდათ თქვენთან კონტაქტი, ნუ აიღებთ მათგან კომენტარს, ეს ცალმხრივი არ იქნება, დაწერთ, რომ კომენტარზე უარს ამბობენ. აშანტაჟებენ დამოკიდებელ პრესას.

***— გადასახადებთან დაკავშირებით ისევ დაიწყებს ვაჭრობას ხელისუფლება და ამას ექნება აშკარად შანტაჟის ფორმა. ამასაც უნდა ველოდოთ მათგან?***

— 1995 წელს როცა მე შევიტანე ეს ინიციატივა პარლამენტში, რომ პრესა სრულიად განთავისუფლებულიყო გადასახადებისგან, ამის მეტი რომ არაფერი გამეკეთებინა, მარტო ამიტომ ექნებოდა აზრი ჩემს იქ ყოფნას. რამდენჯერმე უნდოდათ გადასახადების აღდგენა, მომავალში შეიძლება ეს საკითხიც დააყენონ.

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილს პოლიტიკური კამპანიის დაფინანსების პრობლემა არ ექნება“



გია ხუხაშვილი

ეკონომიკის ექსპერტ გია ხუხაშვილის განცხადებით, ხელისუფლების მცდელობა, რომ „ქართუ ბანკის“ საერთო საკრედიტო პორტფელის 25 პროცენტი არაუზრუნველყოფილად აქციოს და ბანკში ეროვნული ბანკის დროებითი მმართველი შეიყვანოს, დროის ფუჭად კარგვაა.

როგორც ხუხაშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, ბანკის ბლოკირების შემთხვევაშიც კი, ბიძინა ივანიშვილს თავისი პოლიტიკური კამპანიის დაფინანსების პრობლემა არ ექნება, რადგან 21-ე საუკუნეში ლეგალური ფულის მიმოქცევას ვერავინ შეაჩერებს.

„ბიძინა ივანიშვილს კამპანიის დაფინანსების პრობლემა არ აქვს და „ქართუ ბანკი“ საქართველოში მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივი არ არის. ეს არის ხელისუფლების მხრიდან ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობა და პრობლემების შექმნის მცდელობა იმ მექანიზმებით, რაც ხელში უჭირავთ. სამწუხარო ისაა, რომ შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებას ქართული სახელმწიფოსთვის ძალიან ცუდი შედგები მოყვება. რაც მათ გააკეთეს, ფაქტობრივად, ქვეყნის საფინანსო სისტემას ანგრევს. ძალიან ვწუხვარ, რომ სხვა ბანკები ამ ცვლილებაზე ხმას არ იღებენ. ისინი ფიქრობენ, რომ მათ ეს არ შეეხებათ, ჩემი პროგნოზით კი, მომავალში სწორედაც რომ შეეხებათ და თან ბევრად უფრო მკაცრად, ვიდრე ბიძინა ივანიშვილის ბანკს. ხელისუფლების ქმედებას ჰქვია თაღლითური მეთოდებით ბანკის ძარცვა. ეს არის ქონების ერთსა და იმავე დამფუძნებლებზე გადაწერა-გადმოწერა და ამ წესით ბანკის დაზარალების მცდელობა“, — განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, რომ როდესაც ქვეყანაში სამართალი იზეიმებს, ეს წესი აუცილებლად შეიცვლება.

რაც შეეხება იმას, შეუძლია თუ არა ხელისუფლებას „ქართუ ბანკის“ ბლოკირების გზით ივანიშვილისთვის ქვეყანაში ფულის შეტანის შეზღუდვა, ხუხაშვილი აცხადებს, რომ 21-ე საუკუნეში მსგავსი რამ შეუძლებელია.

„ყველა ლეგალური გზით 21-ე საუკუნეში ფულის გაჩერება შეუძლებლია. რაც არ უნდა ეცადონ, საკანონმდებლო თუ სხვა მეთოდებით, ფულის მიმოქცევის გადაკეტავა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ხელისუფლების მხრიდან ეს ყველაფერი ფუჭი შრომაა“, — აღნიშნა ექსპერტმა და დასძინა, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავარი პოლიტიკური აქტივი ფული არ არის და ამას ხელისუფლება დღემდე ვერ ხვდება.

„ჩვენმა ხელისუფლებამ დღემდე ვერ გაიზარა, რომ მას ივანიშვილის სახით „ფულიან კაცთან“ არ აქვს საქმე. ივანიშვილმა ამ ბრძოლაში ერთი თეთრიც რომ არ ჩადოს, ხელისუფლება მასთან წასაგებად მაინც განწირულია. ივანიშვილის მთავარი აქტივი არის ის, რაც ქართული მიწიდანაა აღმოცენებული — ეს პიროვნება სულ სხვა ღირებულებებზე დგას“, — განაცხადა მან.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-84-92-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვახტანგ ყოლბაია: „ხელისუფლება საარჩევნოდ პირადობის მოწმობებს მიცვალებულებზეც გასცემს“

## რატომ არის საჭირო ალტერნატიული საარჩევნო სია

თეა მარხვაიძე

პოზიცია და ოპოზიცია გამალებით მსჯელობს სააკაშვილის ახალ იდეაზე. საუბარია ახალ ქალაქ ლაზიკაზე, რომელიც ანაკლიის ახლოს უნდა აშენდეს. პრეზიდენტის მტკიცებით, ახალი ქალაქი ნახევარ მილიონ მოსახლეზე იქნება გათვლილი. ამ საკითხზე სერიოზული კომენტარის გაკეთება უჭირს ყოფილ ვიცე-სპიკერ ვახტანგ ყოლბაიას. მისი აზრით, ახლა გაცილებით სხვა თემებია მნიშვნელოვანი. ყოლბაია მიიჩნევს, რომ კარგი იქნება თუ საზოგადოება და პოლიტიკური პარტიები ნორმალურ არჩევნებზე იფიქრებენ. მისი აზრით, არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად ამომრჩეველთა სიები ძალიან მნიშვნელოვანია.

მისმა პარტიამ (ყოლბაია დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ) გამოთქვა ინიციატივა, რომ შეიქმნას ჯგუფი, რომელიც ამომრჩეველთა სიებს გადაამოწმებს. საუბარია ალტერნატიულ გადამოწმებზე, რადგანაც ერთი ასეთი ჯგუფი უკვე არსებობს, რომელსაც სათავეში მამუკა კაციტაძე უდგას.

რა შედეგებს მოგვცემს სიების ალტერნატიული გადამოწმება, რა ბრძანება გაიცა ახალგარდაცვლილებთან დაკავშირებით, ვის უპირებენ ჩასახლებას ახალ ქალაქ ლაზიკაში, ამ თემებზე „ახალ თაობას“ ვახტანგ ყოლბაია ესაუბრება.

**ვახტანგ ყოლბაია:**

– ახალი ქალაქის გარშემო დიდი ვნებათაღელვაა ატეხილი. ამ თემაზე კომენტარებს აკეთებს უველა. პირადად მე მიმაჩნია, რომ ამ თემაზე საუბარი სერიოზულად არ ღირს.

***– რატომ არ ღირს ამ თემაზე სერიოზულად საუბარი?***

– იმიტომ, რომ ცხადია, ეს არ არის სერიოზული ინიციატივა. ეს არის პიარი. ამით სააკაშვილი ამომრჩეველთა გულების მოგებას ცდილობს. ჩვენს ქვეყანას დღეს არა აქვს იმის ეკონომიკური შესაძლებლობა, რომ ახალი ქალაქი ააშენოს. თუ ამდენი ფული აქვთ, მაშინ დანგრეულ ქალაქებსა და სოფლებს მიხედონ. გააუმჯობესონ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. ეს არის არასერიოზული განცხადება. თუნდაც იმიტომ, რომ ძნელია მოიძებნოს ნახევარი მილიონი ადამიანი, ვისაც აქ ჩაასახლებენ. დღეს მილიონზე მეტი ადამიანი გაქცეულია საქართველოდან.

***– მართალია არ გჯერათ, რომ ეს ქალაქი აშენდება. საინტერესოა, რომ აშენდეს, ვის ჩაასახლებენ იქ?***

– მაგას არ ვამბობ, საქართველოს მოსახლეობის ნახევარი წასულია. შეიძლება თურქ-მესხები ჩაასახლონ.

***– ამას სერიოზულად ამბობთ? ჩვენ მათი დაბრუნების ვალდებულება გვაქვს აღებული ევროსაბჭოს წინაშე.***

– ვალდებულება გვაქვს აღებული, მაგრამ მე ვიხუმრე, იმიტომ, რომ ამ თემაზე სერიოზულად არ შემიძლია საუბარი. ისე გამორიცხული არაფერი არ არის. იმედია, რომ ხელისუფლება მართლა არ დაიწყებს ამ ქალაქის აშენებას. რისი აშენების თავი აქვს ხელისუფლებას ყველამ კარგად ვნახეთ წეროვანის მაგალითზე.

***– გგონიათ, რომ წეროვანის მსგავსი იქნება ახალი ქალაქი?***

– მეშინია, რომ ეს ქალაქი იქნება ნანგრევები და მეტი არაფერი. ამ ქალაქის აშენება შეიძლება დაიწყოს, მაგრამ ვერ გაგრძელდება. ქალაქის ადგილზე გვექნება ნანგრევები. ხელისუფლება ამ იდეის განხორციელებას უნდა შეეშვას. ოპოზიციას და არასამთავრობოებს ვურჩევ, რომ ამ თემაზე კამათს დიდი ძალიახმევას ნუ მოახმარენ. არჩევნები მოდის და წინ მნიშვნელოვანი პროცესებია. უმჯობესი იქნებოდა, თუ არასამთავრობოები და ოპოზიცია ახალი საარჩევნო სიის გადამოწმებაზე იმუშავებდნენ.

***– ასეთი კომისია ხომ არის.***

– კი ბატონო, არის. ამ კომისიას მამუკა კაციტაძე უდგას სათავეში, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ. ამის მიუხედავად არ მჯერა, რომ ეს კომისია საქმეს კარგად გააკეთებს. ამ კომისიაში ისეთი ხალხია, რომ ისინი ნორმალურ საარჩევნო სიას ვერ დადებენ. რაკი ეს ვიცით, ამიტომაც გამოვიდა ქალბატონი ნინო ნურჯანაძე საარჩევნო სიების გადამოწმების იდეით. ჩვენ უნდა დავდოთ ახალი და რეალური საარჩევნო სიები.

***– თქვენი პარტია ამის გაკეთებას შეძლებს?***




– დემოკრატიული მოძრაობა ამის გაკეთებას არც აპირებს. გადამოწმებაში პოლიტიკური პარტიები არ უნდა ჩაერიონ. თუმცა მათ ამაზე უნდა იზრუნონ. ალტერნატიული საარჩევნო სიები არასამთავრობებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა დადონ.

***– დაფინანსება? ამ პროცესს ხომ დაფინანსება სჭირდება?***

– ფინანსები პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გავიღოთ. მაგრამ პროცესში არ ჩავერიოთ. ამ თანხების მოძიება საერთაშორისო ორგანიზაციებსაც შეუძლიათ, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებით.

***– რა ოდენობის თანხებზეა საუბარი?***

– ამ პროცესს 2-3 მილიონი და 4 თვე დასჭირდება.

***– თქვენ ყოველთვის გდებდნენ ბრალს, რომ არჩევნები არ გინდათ და რევოლუციას უჭერთ მხარს. ახლა რატომ დაინტერესდა პარტია არჩევნებით?***

– როდის ვთქვით, რომ არჩევნების მაგივრად რევოლუცია და უბედურება გვინდა. ჩვენ ვამბობდით, რომ ამ სისტემით საქართველოში ნორმალური არჩევნები არ ჩატარდება. ამაზე გვედავებოდნენ ოპოზიციური რვიანის წევრები, რომლებიც მერე ექვსიანი გახდა და ბოლოს სულ დაიშალა. ესეც ნათელი მაგალითია იმისა, რომ ხელისუფლება დათმობაზე არ წავიდა. ხელისუფლება მათთან სწორედ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე აწარმოებდა მოლაპარაკებებს. მაგრამ გარემო არ გაუმჯობესდა. ხელისუფლება მას არც გააუმჯობესებს. ის არ დათმობს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს. ჩვენ ახლა შეგვიძლია ალტერნატიული საარჩევნო სიის დადება, რომელიც არჩევნების დროს მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

***– გამოეხმაურა ვინმე თქვენს ინიციატივას?***

– ჯერჯერობით არავინ. არადა, დრო არ ითმენს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მიცვალებულებზე დაიწყეს პირადობის მოწმობების გაცემა.

***– ეს რას ნიშნავს?***

– საუბარია ახალგარდაცვლილ ადამიანებზე. მათზე გასცემენ პირადობის მოწმობებს.

***– რა მიზნით გაიცემა ეს პირადობის მოწმობები?***

– არჩევნებში რომ მიიღონ მონაწილეობა. იმედია, არ გაჭირდება იმის გამოცნობა თუ ვის დაუჭერენ ისინი მხარს. ისე, ამ მხრივ პროგრესი ნამდვილად არის. აქამდე მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ადამინები მონაწილეობდნენ არჩევნებში. ახლა კი უფრო ახლო წარსულში გარდაცვლილებს გამოიყენებენ.

***– რამდენ მიცვალებულზეა საუბარი?***

– ზუსტი რიცხვი არ ვიცი. ფაქტია, რომ ესენი ყველა ხერხით, მათ შორის მკვდარი სულების გამოყენებით აპირებენ არჩევნების მოგებას. ამიტომაც არის საჭირო ალტერნატიული სია. რომლის შემუშავებაში საერთაშორისო ორგანიზაციებიც იქნებიან ჩართული. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უფრო იოლად დავამტკიცებთ, რომ ხელისუფლება აყალბებს არჩევნებს.

# ხელისუფლება თრუსოს ხეობას გვაკარგვინებს

## რა საფრთხეს შეიცავს ახალი ჰესების მშენებლობა

თეა მარხვაიძე

ჩვენი საზოგადოება საქმის კურსშია, რომ ხელისუფლება დარიალის ხეობაში ჰიდროელექტროსადგურს აშენებს. ამ ჰესისა და ხელისუფლების წყალობით, ძალიან მალე დარიალის ხეობაში თერგის ღარიალს ვეღარ გაიგონებთ. ის სპეციალურად ჰესისთვის აშენებულ გვირაბში გაივლის. ასე რომ, ვისაც დარიალის ხეობაში თერგის ღრიალი გიყვართ, მოასწარით და დატკბით ამ ხმით. მოაწარით, მერე გვიან იქნება.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ტკბობა თრუსოს ხეობითაც უნდა მოასწროთ. რადგანაც ახლო მომავალში შესაძლოა ეს ულამაზესი ადგილი დავკარგოთ.

არა, ამ შემთხვევაში კოკოითი და მისი ბოროტი განზრახვები არაფერ შუაშია. ამ უკანასკნელს კარგა ხანია თრუსოს ხეობაზე პრეტენზია აღარ განუცხადებია. თუმცა ეს საფრთხეც საკმაოდ აქტუალურია. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ რუსეთი შეეცდება თრუსო წაგვართვას. თრუსოს ხეობა სამხრეთ ოსეთს კერძოდ კი ჯავის რაიონს ესაზღვრება.

ამ ადგილზე ჩრდილოეთ ოსეთსაც უჭირავს თვალი. და თუ ჩვენმა ხელისუფლებამ თავისი გაიტანა, მერე შესაძლოა ამ ტერიტორიაზე პრეტენზია აღარც კი გამოთქვან. რადგანაც იქ მოხვედრა მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთიდან იქნება შესაძლებელი.

გარემოსდამცველები შიშობენ, რომ შესაძლოა თრუსოს ხეობა დაიტბოროს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელის ნინო ჩხობაძის განცხადებით, ლარსის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შედეგად, საქართველომ, შესაძლოა, თრუსოს ხეობა მთლიანად დაკარგოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ოპოზიცია უახლოეს მომავალში აპირებს დაინტერესებას. არ არის გამორიცხული ამ საკითხზე პარლამენტში საკომიტეტო მოსმენაც გაიმართოს. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია საპროტესტო ტალღის აგორებასაც გეგმავს.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ჰესების მშენებლობის შესაჩერებლად ხელმოწერების შეგროვებაც იწყება.

ყაზბეგის რაიონში „ლარსიჰესის“ მშენებლობა ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყო. მდინარე თერგზე 20 მეგავატიანი ჰესის მშენებლობის პროექტს, რომლის ღირებულება 20 მილიონი ლარია, შპს „ენერგია“ ახორციელებს. პროექტის მიხედვით რამდენიმე ობიექტის მშენებლობაა დაგეგმილი, მათ შორის სათავე ნაგებობის, გამწმენდი ნაგებობის და ჰესის შენობის. კაშხალის სიმაღლე დაახლოებით სამი მეტრი იქნება.

როგორც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსია უკვე გამოქვეყნდა. ანგარიშში წერია, რომ ჰესის მშენებლობა გარემოზე ნეგატიურ ზეგავლენას არ მოახდენს.

ამ ანგარიშის ნაწილს მცხეთა-მთიანეთის და კახეთის საინფორმაციო ცენტრები აქვეყნებებენ. ძალიან საინტერესო და საგულისხმო მოსაზრებები აქვს გარემოს დაცვის ექსპერტს ნინო ჩხობაძეს.




– ანგარიშის შედეგებიდან გამომდინარე, საკანალიზაციო კოლექტორის, სატუმბო სადგურისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდებში გარემოს არცერთ ელემენტზე არ აღინიშნება რაიმე სახის ნეგატიური ზემოქმედება და ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაცია არ იწვევს ეკოლოგიური სიტუაციის არავითარ ცვლილებას, – ნათქვამია „ლარსიჰესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

კითხვაზე, რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს „ლარსიჰესმა“ საქართველოს ეკონომიკას, შპს „ენერგიას“ ტექნიკური დირექტორი გიორგი გოგავა განმარტავს: „ეკონომიკური ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ ჰესი გამოიმუშავებს ელექტროენერგიას, აკმაყოფილებს ელექტროენერგიით ადგილობრივ მოსახლეობას, იმ ზონას, რომელსაც მოიცავს. შესაძლოა, მოხდეს ელექტროენერგიის ექსპორტი და შესაბამისად, გადასახადები შევა ბიუჯეტში“.

შპს „ენერგიასთან“ ერთად „ლარსი ჰესის“ მშენებლობაში შპს „ფერიც“ მონაწილეობს. შპს „ფერის“ ხელმძღვანელი ლაშა იორდანიშვილი პარალელურად შპს „დარიალი ენერჯის“ ხელმძღვანელიცაა, რომელიც „დარიალი ჰესს“ აშენებს. ორივე ჰესი მდინარე თერგზე შენდება. ლაშა იორდანიშვილის განცხადებით, „ლარსიჰესის“ მშენებლობაზე 30-მდე ადგილობრივი დასაქმდება და მათი დღიური ანაზღაურება საშუალოდ 20 ლარი იქნება.

შპს „ენერგიას“ ინფორმაციით, „ლარსიჰესის“ მშენებლობა 2013 წლის დეკემბერში დასრულდება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე, რომელიც ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობას“ ხელმძღვანელობს, ამბობს, რომ გიგანტური ჰესების მშენებლობა ტერიტორიების დაკარგვის სერიოზულ საფრთხეს ქმნის. ჩხობაძის თქმით, ლარსის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა კანონის დარღვევით დაიწყო და ჰესის მშენებლობის შედეგად, საქართველომ, შესაძლოა, თრუსოს ხეობა მთლიანად დაკარგოს.

– ლარსის ჰიდროელექტროსადგური შენდება იმ მონაკვეთზე და იტბორება ის ტერიტორია, რომელიც არის თრუსოს ხეობაში შესასვლელი ჩვენი მხრიდან. შეიძლება ულამაზესი ხეობა დავკარგოთ. ხეობაში შესვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთიდან. მეორე პრობლემა თვითონ დარიალის მდინარეა. ჰესი იმდენ ელექტროენერგიას არ მოგვცემს, რაც იმად ეღირება რომ ჩრდილოეთის მარშრუტზე ტურისტული პოტენციალი დავკარგოთ. „საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ“ 14 ნოემბერს მოითხოვა „ლარსიჰესის“ მშენებლობის ნებართვა, რაც არ ჰქონდათ. სამინისტროდან პასუხი მივიღეთ 29 ნოემბერს, სადაც წერია, რომ 27 ნოემბერს გასცეს ნებართვა. იმის მაგივრად, რომ რეაგირება მოეხდინათ უკანონო მშენებლობაზე, დაჩქარებული ტემპით გასცეს ნებართვა, – აცხადებს ჩხობაძე.

მისი თქმით. ყველაზე დიდი საფრთხე და პრობლემა, რომელიც საქართველოში გამოიკვეთა, ის სტრატეგია და პოლიტიკაა, რომელიც საქართველოს აქვს აღებული.

– ჩვენ ვამბობთ, რომ გვინდა გავყიდოთ ელექტროენერგია, რომელსაც გამოვიმუშავებთ ჰიდროელექტროსადგურებით. თითქოს ეს არის ალტერნეტიული ენერგეტიკის წყარო. სინამდვილეში, დიდი, გიგანტური ჰესები იქნება დამღუპველი. ჩვენ შეიძლება დავკარგოთ საქართველოს კუთხეები იმიტომ, რომ ტენიანობა და დაავადებები მოიმატებს. ადამიანები იქნებიან გადასახლებულები. მარტო ხუდონ ჰესის მშენებლობის შედეგად 26 ისტორიული ტოპონიმი გაქრება, ხაიში დაიტბორება. მოსახლეობის ნაწილს აქვს მოლოდინი, რომ კომპენსაციას მიიღებს. მე ვიცი, რომ ეს არ მოხდება. იმდენ კომპენსაციას მაინც ვერ მისცემენ, რომელიც საქართველოსთვის სვანეთის დაკარგვას აანაზღაურებს. ამიტომ ყველა დიდ ჰესთან და გრანდიოზულ მშენებლობასთან მიმართებაში „საქართველოს მწვანეთა მოძრაობას“ მიაჩნია, რომ ეს შეიძლება საქართველოსთვის დამღუპველი იყოს, – აღნიშნავს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ხელმძღვანელი.

ექსპერტის განმარტებით, ამ სიტუაციიდან გამოსავალი ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის შემოღებასა და ენერგოდაზოგვის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაშია.

– არსებობს ალტერნატივა, თუ შემოვიღებთ ენერგოეფექტურობის კანონმდებლობას, რომელიც საქართველოს არ გააჩნია. თუ სახელმწიფო პოლიტიკა იქნება ენერგოდაზოგვა, ამ შემთხვევაში გამოვათავისუფლებთ იმდენ ენერგიას, რომლის გაყიდვა ყოველთვის შეიძლება. იმის ძახილი, რომ უშუქოდ მხოლოდ იმიტომ ვიყავით, რომ ხუდონი არ გვქონდა აშენებული, მცდარი აღმოჩნდა. ხუდონი დღესაც არ გვაქვს, მაგრამ შუქი არის, – ამბობს ნინო ჩხობაძე.

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ შესაძლოა ჰესების მშენებლობის შესაჩერებლად ხელმოწერების შეგროვება დაიწყოს. სარჭვოა ხელისუფლებამ ამ ადამიანების მოსაზრებები გაითვალისწინოს. ამ ჰესებით მთავრობა დიდ ხეირს ნახავს. ასეთ დროს კი საერთოდ არ აინტერესებთ ეკოლოგიური კატასტროფა და მსგავსი წვრილმანები. ჰესების აშენებით მიღებულ მოგებასთან თრუსოს დაკარგვა რა მოსატანია.

შედით საიტზე atb.ge

„%!!

# გიორგი ცაგარეიშვილი: „კოდუებს ქონებას ართმევენ“

შალვა ჯოხაძე


გიორგი ცაგარეიშვილი

გიორგი ცაგარეიშვილი ეროვნულ ბანკს „ქართუ ბანკის“ გაკოტრების პროცესის დაწყებაში ადანაშაულებს. ცაგარეიშვილის თქმით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში დაიწყო ყადაღის დადება იმ უძრავ და მოძრავ ქონებაზე, რომელიც „ქართუ ბანკში“ იპოთეკით იყო დატვირთული. ამ გზით „ქართუ ბანკმა“ 70 მილიონი ლარი საერთო მოცულობის საკრედიტო ვალდებულებები დაკარგა, რაც ბანკის საერთო საკრედიტო პორტფელის თითქმის 20%-ია. გიორგი ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ ეროვნული ბანკი ცდილობს, ეს დანაკარგი 25%-ს გადასცდეს, რის შემდეგაც „ქართუ ბანკში“ ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული ადმინისტრაცია შევა და ბანკის მართვას თავად დაიწყებს.

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარის თქმით, ეს პროცესები მას შემდეგ დაიწყო, რაც დაახლოებით ერთი თვის წინ საგადასახადო კოდექსში და აღსრულების წესის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა. ამ ცვლილებებით კომერციულ ბანკებს საკმაოდ გაურთულდათ საქმიანობა, რადგან იპოთეკარების რიგის ჩანაცვლება მოხდა.

— აქამდე, ორი წელი აბსოლუტურად განსხვავებული წესი მოქმედებდა, რითიც იპოთეკის გირავნობის პირველადი მოთხოვნის უფლება კომერციულ ბანკს ჰქონდა. ახლა რიგითობა შეიცვალა და პირველი რიგის იპოთეკარი სახელმწიფო გახდა, საგადასახადო ორგანოების სახით, — განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა. მისი შეფასებით, ეს საკანონმდებლო ცვლილებები საბანკო სფეროში უმძიმეს და ურთულეს პროცესებს გამოიწვევს.

გია ცაგარეიშვილმა ის კონკრეტული სუბიექტები დაასახელა, რომელთაც „ქართუ ბანკთან“ სასესხო ვალდებულებები უძრავ-მოძრავი ქონებით აქვთ უზრუნველყოფილი, თუმცა ახლა ეს ქონება რეალიზებისთვის საჯარო აუქციონზე გადის და ფაქტობრივად სახელმწიფოს ხელში გადადის.

ცაგარეიშვილის თქმით, „ბანკ ქართუს“ კრედიტორია შპს „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი“, რომლის დამფუძნებელი შპს „ბულიტებია“ და შპს „საჩოგბურთო კლუბი დინამო“.

„საჩოგბურთო კლუბ დინამოს“ წილის 98% კრიმინალური პოლიციის უფროსის ერეკლე კოდუას დედას ლაურა ღაჭავას ეკუთვნის, რომელიც ამავდროულად „ბულიტების“ 100%-იანი წილის მფლობელია. ცაგარეიშვილის ინფორმაციით, ახალი საკანონმდებლო რეგულაციის ძალაში შესვლისთანავე „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფმა“ სააქციო საზოგადოება „პირიმზესთან“, რომლის აქციების 49,99% ასევე ღაჭავას ეკუთვნის, ხოლო 45, 97% — მის მეუღლეს ნოდარ კოდუას, თაღლითური და თვალთმაქცური გარიგება გააფორმა.

— ეს გარიგება გულისხმობს „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფის“ ქონების გადამალვას მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგებით, მოსალოდნელი ან უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებისთვის თავის არიდების მიზნით, რაც პირდაპირ სისხლის სამართლის დანაშაულია და 6-დან 9 წლამდე სასჯელს ითვალისწინებს, თუმცა ამ თვალთმაქცური გარიგებისთანავე ის ახლებური წესიც ამოქმედდა, რომლითაც იპოთეკის და გირავნობის მოთხოვნის უპირატესი უფლება საგადასახადო ორგანოების სახით სახელმწიფოს მიენიჭა და პირველი რიგის იპოთეკარი სწორედ საგადასახადო გახდა. ამით ბანკმა „ქართუმ“ ის ქონება დაკარგა, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო 70 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის კრედიტი, — აცხადებს ცაგარეიშვილი.

რაც შეეხება იმ კონკრეტულ ქონებას, რომელიც „პირიმზეს“ გადაეცა და რომლის რეალიზება საჯარო აუციონზე უახლოეს დღეებშია დაგეგმილი, ესენია: „პირიმზის“ შენობა, არაყიშვილის ქუჩაზე არსებული კომერციული ფართი, ჭავჭავაძის გამზირზე არსებული ყოფილი ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, ჭავჭავაძის №33-ში მდებარე იგივე ინსტიტუტის კორპუსი, მელიქიშვილის №5-ში მდებარე ისტორიის ყოფილი ინსტიტუტი, მელიქიშვილი №10-ში მდებარე პედიატრიის ინსტიტუტის ყოფილი შენობა.

ცაგარეიშვილმა ასევე ჭავჭავაძის №60-ში მდებარე სს „ეკრანი“, ქავთარაძეზე არსებული ე.წ ლეჩკომბინატის შენობა და „სამკერვალო ფაბრიკა ლაურა ღაჭავა“ დაასახელა.

— საქმე ისაა, რომ იპოთეკართა რიგითობის შეცვლისთანავე კოდუებს სახელმწიფოს წინაშე 100 მილიონიანი დავალიანება წარმოეშვათ და ახლა ამ დავალიანების ანაზღაურება „ქართუში“ ჩადებული ქონებით ხდება, — განმარტავს ცაგარეიშვილი.

ცაგარეიშვილის თქმით, „თაღლითური სქემა“ ამოქმედდა ბათუმშიც. კერძოდ, „ქართუს“ კრედიტორმა შპს „ბათოილმა“ შპს „ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსს“ იგივე წესით გადასცა კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება თავისი საბანკო ვალდებულებებით, მათ შორის — 11 მილიონი ლარის ღირებულების მხოლოდ მოძრავი ქონება.

ცაგარეიშვილის ინფორმაციით, შპს „ბათოილის“ დამფუძნებელია შპს „ლემისე კომპანი“, ხოლო „ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსის“ დამფუძნებელი — შპს „კავკასუს სირიალ კომპანი“, რომლის კვალიც პანამის ოფშორში იკარგება. ორივე კომპანიის დირექტორად ერთი და იგივე პირია დასახელებული — ვინმე სერგი კაკალაშვილი. სხვათა შორის, არის ასეთი დეპუტატი სერგი კაკალაშვილი, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, არის თუ არა დირექტორი და დეპუტატი ერთი და იგივე პიროვნება. იგივე კომპანიები მონაწილეობენ კიდევ რამდენიმე თვალთმაქცური სქემის განხორციელებაში: მათ ქონება ერთმანეთზე გადააფორმეს.

— ყველა აღნიშნულ ქონებას საგადასახადო ორგანომ და რიგ შემთხვევაში აღსრულების ბიურომ ყადაღები 24, 29 და 30 ნოემბერს დაადო, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

## გაერომ კონკურსში გამარჯვებულები დააჯილდოვა

— გაერომ ახალგაზრდების მიერ ადამიანის უფლებების თემაზე შექმნილი საუკეთესო (1-3 წუთიანი) ფილმების კონკურსში გამარჯვებულები დააჯილდოვა.

როგორც პრაიმ-ნიუსს გაეროს ოფისიდან აცნობეს, კონკურსი ორგანიზებული იყო გაეროს წარმომადგენლობის მიერ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით.

კონკურსმა, რომელიც მიეძღვნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს (10 დეკემბერს), საშუალება მისცა ახალგაზრდებს, შეექმნათ მხატვრული და ანიმაციური ფილმები ადამიანის უფლებების საკითხებზე, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 30 მუხლის ირგვლივ.

,,წლევანდელი კონკურსი მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებას,“ — განაცხადა დაჯილდოების ცერემონიაზე ჯეიმი მაკგოლდრიკმა, გაეროს მუდმივმა კოორდინატორმა საქართველოში. — ,,ვიმედოვნებთ, რომ კონკურსი გახდება გარკვეული სტიმული ახალგაზრდებისათვის, რათა გააორმაგონ ძალისხმევა ადამიანის უფლებების დასაცავად”.

დაჯილდოების ცერემონიას წინ უძღოდა ორთვიანი სამუშაო პროცესი — კონკურსი 11 სექტემბრიდან 11 ნოემბრამდე მიმდინარეობდა. კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ 18-დან 25-წლამდე ასაკის ახალგაზრდებს.

კონკურსის შედეგები შეაფასა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გაეროს სააგენტოების წარმომადგენლები და ექსპერტები.

თითოეულ გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო (350-იდან 750 ლარამდე ოდენობით). ჯილდოები ასე განაწილდა: მხატვრული ფილმების კატეგორია: პირველი ადგილი სალომე — ვეფხვაძე; მეორე ადგილი — მარგარიტა ზუბაშვილი და მესამე ადგილი — თინათინ მუმლაძე.

ანიმაციური ფილმების კატეგორია: პირველი ადგილი — თეა ვაწაძე, მეორე ადგილი — გვანცა ბასილაშვილი და მესამე ადგილი — ნიკა გელაშვილი.

სალომე ვეფხვაძისა და თეა ვაწაძის ფილმები გაიგზავნება სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც ა.წ. 9 დეკემბერს გაიმართება ქ. ვენაში (ავსტრია). ასევე სპეციალური პრიზი გადაეცა თინათინ მუმლაძის ფილმს, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა.

პრაიმ-ნიუსი

## ჯონდი ბაღათურია: „საქართველოში კვლევის შედეგების გაყალბება ტრადიციად იქცა“


ჯონდი ბაღათურია

პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერის, დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას შეფასებით, საქართველოში არჩევნების გაყალბების მსგავსად, კვლევის შედეგების გაყალბებაც ტრადიციად იქცა.

როგორც საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IრI)-ის კვლევის შედეგების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შეფასებისას ბაღათურიამ ჟურნალისტებს განუცხადა, იგი არ ენდობა იმ ორგანიზაციების კვლევებს, რომლებიც ხელისუფლების „ხელით იკვებებიან“.

მისი თქმით, ეს ორგანიზაციები კვლევებს კი ატარებენ, მაგრამ შემდეგ ამ რიცხვების მანიპულირებას კაბინეტებში ახდენენ.

„ხელისუფლება მისთვის ლოიალურ კანდიდატურებს მაჩვენებლებს უმატებს, მასთან ნამდვილად დაპირისპირებულები კი, ცდილობს, მიწასთან გაგვასწოროს“, — აღნიშნა ჯონდო ბაღათურიამ. მას ასევე მიაჩნია, რომ რეალურად გაცილებით მაღალია ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი, ვიდრე ეს კვლევებმა წარმოაჩინა.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ბოლო პოლიტიკური კვლევების ზოგიერთი შედეგის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საპარლამენტო არჩევნებში 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვას მხოლოდ სამი პოლიტიკური სუბიექტი ახერხებს: „ნაციონალური მოძრაობა“, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ბლოკი და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა.

კითხვაზე, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას (საქართველოს მასშტაბით), პასუხები ასე გადანაწილდა: „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი — 32; ბიძინა ივანიშვილი — 27; გიორგი თარგამაძე — 10 პროცენტი; შალვა ნათელაშვილი და ირაკლი ალასანია — 2-2 პროცენტი.

კითხვაზე, ვინ არის ყველაზე სანდო ოპოზიციონერი ლიდერი (საქართველოს მასშტაბით), პასუხები ასეთია: გიორგი თარგამაძე — 22; ბიძინა ივანიშვილი — 21; შალვა ნათელაშვილი — 4 და ირაკლი ალასანია — 3 პროცენტი.

მედიანიუსი

# მამუკა ღლონტი: „მაესტროს“ სააკაშვილი ებრძვის“


მამუკა ღლონტი

შალვა ჯოხაძე

თბილისის საქალაქო სასამართლომ შპს სტუდია „მაესტროს“ 100-პროცენტიანი წილი, „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის“ მოთხოვნით დააყადაღა. მოკლედ, ამ ყადაღის დადების ინიციატორი ეროსი კიწმარიშვილი იყო. კიწმარიშვილის თქმით, ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, „მაესტროს“ დამფუძნებლებს უფლება არ ექნებათ, თავიანთი წილი გაყიდონ, გაასხვისონ ან გააჩუქონ.

საქალაქო სასამართლოში ამბობენ, რომ საქმე კომერციულ საიდუმლოებას შეეხება და არ არიან უფლებამოსილი, ზეპირი ფორმით ამ თემაზე ინფორმაცია გასცენ.

უკვე ირკვევა, რომ შპს სტუდია „მაესტროს“ დამფუძნებლები თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ. მამუკა ღლონტის თქმით, „მაესტროს“ 100-პროცენტიანი წილის დაყადაღების შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ცხადი გახდა, თუ ვის თამაშს თამაშობს ეროსი კიწმარიშვილი.

— ვამტკიცებდი და საზოგადოებას არ სჯეროდა, რომ ეროსი კიწმარიშვილის სახით მიხეილ სააკაშვილი აკეთებს ყველაფერს, რათა „მაესტროს“ მუშაობაში ხელი შეეშალოს. „მაესტროს“ ეროსი კიწმარიშვილი კი არა, მიხეილ სააკაშვილი ებრძვის. ჩვენ ჩვენ წილებს ვერ გავყიდით და არც ვაპირებდით გაყიდვას. ამით

## ბიძინა ივანიშვილი „მაესტროს“ ვეღარ იყიდის

მხოლოდ სააკაშვილის, კიწმარიშვილისა და ოქრუაშვილის ლუსტრაცია მოხდა. უკანონო გადაწყვეტილება, ბუნებრივია, გასაჩივრდება. თუ საჭირო გახდა, ევროპის სასამართლოშიც ვიჩივლებთ, — აღნიშნა ღლონტმა.

აღსანიშნავია, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით მამუკა ღლონტმა კიდევ ერთი ინფორმაცია გაავრცელა. მისი თქმით, კომპანია „რედიქსმა“ ოფისი, რომელიც მათთვის უნდა მიექირავებინა, ეროსი კიწმარიშვილს მისცა.

„მაესტროს“ მეწილეები არიან მაკა ასათიანი, ილია კიკაბიძე, მამუკა ღლონტი, ეკა აკობია და გიორგი ებრალიძე. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ეს ადამიანები მუდმივად ამახვილებდნენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ „მაესტროს“ გაყიდვას არ აპირებდნენ. მოგეხსენებათ, კულუარებში ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ, შესაძლოა, „მაესტრო“ ბიძინა ივანიშვილს ეყიდა. ამის გამო ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს სპეციალური განცხადების გავრცელებაც კი მოუხდა:

— გამომდინარე იქედან, რომ მავანნი ცდილობენ „მაესტროს“ ირგვლივ მიმდინარე მოვლენები ბიძინა ივანიშვილის სახელს დაუკავშირონ, იძულებულნი ვართ კიდევ ერთხელ განვმარტოთ: ბიძინა ივანიშვილი მზად არის დაეხმაროს დამოუკიდებელ, თავისუფალ ჟურნალისტიკას და ამით დაეხმაროს სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების პროცესს. ბიძინა ივანიშვილის მიზანია არა ერთი რომელიმე კონკრეტული მედიასაშუალების ინტერესების დაცვა, არამედ ზოგადად თავისუფალი ქართული ჟურნალისტიკის მხარდაჭერა. ამ მიზნით აწარმოებდა და მომავალშიც გააგრძელებს ბიძინა ივანიშვილი შეხვედრებს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული მედიის წარმომადგენლებთან. ასე რომ, ხმები ბიძინა ივანიშვილის მიერ ტელეკომპანია „მაესტროს“ შესყიდვის სურვილის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება; იგი გარკვეულ პირთა ინტერესებს ემსახურება და პროცესების სხვა ჭრილში გადატანის მცდელობას წარმოადგენს.

ბიძინა ივანიშვილი არ აპირებს საზოგადოებისგან მალულად არანაირი მოლაპარაკების წარმოებას, მათ შორის მედიასაშუალების შესყიდვის თაობაზე და თუ მომავალში ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტს შეიძინოს ესა თუ ის მედიაკომპანია, ამის შესახებ საჯაროდ და ღიად განაცხადებს.

## ამხანაგობები მოსაკრებლის გადამხდელები ხდებიან

ამხანაგობები მოსაკრებლის გადამხდელები ხდებიან. შესაბამისი ცვლილება მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ კანონში შედის. მისი ავტორები და ინიციატორები დეპუტატები: გურანდა ჯაბუა და ანდრო ალავიძე არიან.

კანონპროექტის მიხედვით, მოსაკრებლის გადამხდელები იქნებიან როგორც ფიზიკური და იურიდიული პირები, ისე ამხანაგობები, რომლებსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლებას ანიჭებენ. მოსაკრებლის გადამხდელი იქნება ის ამხანაგობაც, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გარკვეულ მომსახურებას უწევენ.

კანონპროექტს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი განიხილავს.

მედიანიუსი

# დიმიტრი ლორთქიფანიძე ხათუნა კალმახელიძისაგან წერილს ელოდება

## პატიმრების მინისტრი ისეთ ციხეს აშენებს, სადაც გისოსები არ იქნება


ხათუნა კალმახელიძე

შალვა ჯოხაძე

„ციხეს რად უნდა რკინის კარები", — ცნობილი სიმღერისა არ იყოს, დაახლოებით, ასეთი იდეები მოსდის პატიმრების მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს. მოკლედ, კალმახელიძე საქართველოში ახალი ტიპის საპყრობილეების ფუძემდებელი ხდება. მინისტრმა ქალმა სიახლე ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტს გუშინ თავად წარუდგინა. სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ თავისუფლების შეზღუდვის ისეთი დაწესებულება შეიქმნება, სადაც ის პატიმრები მოთავსდებიან, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა კი არა, თავისუფლების შეზღუდვა ექნებათ მისჯილი.

**ხათუნა კალმახელიძე:**

— ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების საფუძველზე სრულიად ახალი ტიპის დაწესებულება, კერძოდ, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება შეიქმნება.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება იქნება ღია ტიპის ანალოგი, გისოსებს გარეშე დაწესებულება, სადაც სასჯელს პრობაციის ეროვნული სააგენტო აღასრულებს.

ეს რეფორმა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში.

ზემოაღნიშნული რეფორმით ქვეყანაში დაინერგება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპული სტანდარტი.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში განთავსდებიან ის პირები, რომლებსაც სასამართლომ შეუფარდა თავისუფლების შეზღუდვა და ის მსჯავრდებულები, რომლებსაც ადგილობრივი საბჭოს მიერ, მათივე თანხმობის საფუძველზე შეეცვლებათ თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების შეზღუდვით.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მსჯავრდებულებს არ ექნებათ შეზღუდული ერთმანეთთან ურთიერთობა და გადაადგილება დაწესებულების ტერიტორიის ფარგლებში.

ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ექნებათ შაბათ-კვირას დატოვონ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად განთავსებული პირები ჩაერთვებიან საგანმანათლებლო, სამუშაო და სარეაბილიტაციო პროგრამებში.

მსჯავრდებულები არასამუშაო დღეებში შეუზღუდავად ისარგებლებენ ხანმოკლე პაემნის უფლებით.

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება მსჯავრდებულთა საზოგადოებაში უმტკივნეულო დაბრუნებას უზრუნველყოფს.

ბუნებრივია, კალმახელიძის ნოვაცია საპარლამენტო უმრავლესობისათვის მისაღებია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრი ქალის ინიციატივას არც საპარლამენტო ოპოზიცია შეხვდა განსაკუთრებული კრიტიკით. ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის" წევრმა, დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ახალი კონცეფცია დროულია, მაგრამ მთელი რიგი სამართლებრივი საკითხები დასახვეწია. მისი თქმით, რაც უნდა ჰუმანური იყოს ინიციატივა, სამართლებრივ საკითხებზე მკაცრი ფილტრი უნდა დაწესდეს.

იმავე ფრაქციის წევრმა, „ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ ამ სიახლესთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების სამინისტროსთან აქტიურად თანამშრომლობის პირობაც კი დადო.

ხათუნა კალმახელიძე პარლამენტში ისეთი ძვირი სანახავია, რომ დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ დრო იხელთა და მინისტრს მის მიერ ერთი წლის წინ დადებული პირობა შეახსენა. საუბარია პატიმარ თამაზ დადვანის დაღუპვის შესახებ.

ლორთქიფანიძის თქმით, შარშან გლდანის იზოლატორში 24 წლის პატიმრის გარდაცვალების საკითხის გარკვევა მინისტრმა პირად კონტროლზე აიყვანა, რის შესახებაც განცხადება კალმახელიძემ შარშან ასევე პარლამენტში გააკეთა.

ლორთქიფანიძე დაინტერესდა, თუ რა ინფორმაციას ფლობს მინისტრი მისი კონტროლის ქვეშ არსებულ საქმესთან დაკავშირებით.

ხათუნა კალმახელიძემ გამოძიების შედეგებზე კომიტეტის სხდომაზე არ ისაუბრა და მხოლოდ ის განაცხადა, რომ გამოძიება დასრულდა და ლორთქიფანიძეს პასუხს წერილობით გააცნობს.

24 წლის თამაზ დადვანი ზუსტად ერთი წლის წინ, 2 დეკემბერს გლდანის საპყრობილეში გარდაიცვალა. ის დაახლოებით ორი წელი იმყოფებოდა ციხეში და იქ მოხვედრამდე სრულიად ჯანმრთელი იყო, აშკარად ციხეში დაავადდა. როგორც მაშინ მისი ოჯახის ადვოკატი დიანა გვიშიანი აცხადებდა, ის ციხის ადმინისტრაციის მხრიდან უყურადღებობის მსხვერპლი გახდა.

თამაზ დადვანი ყაჩაღობის ბრალდებით იყო გასამართლებული, თუმცა პრაქტიკულად, დანაშაულის ჩადენას ვერ უმტკიცებდნენ, რადგანაც ძირითადი მტკიცებულება მის წინააღმდეგ შეურაცხადი მოწმის ჩვენება იყო.

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

# პოლიტიკოსთა ნაწილი პოლიტიკურ კვლევებს არ ენდობა

ნათია ხურცილავა

**საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის, აირაის მიერ ჩატარებული ბოლო პოლიტიკური კვლევების ზოგიერთი შედეგი გუშინ პრესისთვის ცნობილი გახდა.**

**შედეგების მიხედვით, საპარლამენტო არჩევნებში 5 პროცენტიანი ბარიერის გადალახვას მხოლოდ სამი პოლიტიკური სუბიექტი ახერხებს: „ნაციონალური მოძრაობა", ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ბლოკი და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა".**

კითხვაზე, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას (საქართველოს მასშტაბით), პასუხები ასე გადანაწილდა: 32 პროცენტი „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი; 27 პროცენტი – ბიძინა ივანიშვილი; 10 პროცენტი – გიორგი თარგამაძე, 2 პროცენტი – შალვა ნათელაშვილი და 2 პროცენტი – ირაკლი ალასანია.

ხოლო კითხვაზე, ვინ არის ყველაზე სანდო ოპოზიციონერი ლიდერი (საქართველოს მასშტაბით), პასუხები ასეთია: გიორგი თარგამაძე – 22 პროცენტი; ბიძინა ივანიშვილი – 21 პროცენტი; შალვა ნათელაშვილი – 4 პროცენტი; ირაკლი ალასანია – 3 პროცენტი. არსებული ინფორმაციით, გამოკითხვა 27 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე ჩატარდა. გამოიკითხა 4 ათასი რესპონდენტი 18 წელს ზემოთ.

საერთაშორისო რესპუბლიკური პარტიის მიერ ჩატარებულ გამოკითხვას უკვე მოჰყვა პოლიტიკოსთა შეფასებები.

პოლიტიკოსთა ნაწილი აირაის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგებს უნდობლობას უცხადებს, ნაწილს კი მიაჩნია, რომ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ

დადებული გამოკითხვის შედეგები პროგრესს განიცდის ოპოზიციის სასარგებლოდ.

ნდობის რეიტინგებში, ქრისტიან-დემოკრატების განცხადებით, პირველ ადგილზე მათი ლიდერი გიორგი თარგამაძეა.


ირაკლი სესიაშვილი

იგივეს ამტკიცებს „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი. გაბაშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის ნდობის რეიტინგი 70 პროცენტის ფარგლებშია.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, რეიტინგების მიხედვით, რომელიც აირაიმ გამოაქვეყნა, ისეთ შედეგს ვიღებთ, რომლის მიხედვითაც არ არის გამორიცხული, რომ დაბალანსებული პარლამენტი მივიღოთ, მაგრამ არა იმ უმრავლესობით, რომლის პირობაც დადო ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის მრჩევლის, ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, აირაის დაკვეთით ჩატარებული ბოლო პოლიტიკური კვლევა ცხადყოფს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" მხარდამჭერები ეცლება.

— მე აირაის ან თუნდაც ენდიაის კვლევების მიმართ ნაკლები ნდობა მქონდა ხოლმე. არა იმიტომ, რომ ორგანიზაციებს არ ვენდობოდი, არამედ ყოველთვის მეპარებოდა ეჭვი გამოკითხულთა გულწრფელობაში, რადგან არსებობდა შიშის ფაქტორი, უიმედობა, ნიჰილიზმი. ახალი კვლევა კი ცხადყოფს, რომ „ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგი, ფაქტობრივად, 2-ჯერ არის შემცირებული, რაც მიანიშნებს, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით საზოგადოებაში არსებული შიშის და უიმედობის შკალა დაბლა იწევს და ესაა პოზიტიური შედეგი, — ამბობს ირაკლი სესიაშვილი.

ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ ეს შედეგები, რომელიც აირაიმ გამოაქვეყნა, დასაწყისია. ის არ გამორიცხავს, რომ უახლოს მომავალში სავარაუდოა, რომ მმართველი გუნდის რეიტინგი კიდევ უფრო დაეცეს.

— ეს საინტერესო ტენდენციაა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ასტრონომიური პროგრესიით კარგავს მხარდამჭერებს, .– აღნიშნავს ივანიშვილის მრჩეველი.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის აირაის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები გუშინ გახდა ცნობილი.

ასევე ცნობილი გახდა, რომ გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა 61% ქვეყნის მთავარ პარტნიორად ამერიკის შეერთებულ შტატებს ასახელებს. 33% კი – ევროკავშირს. 78%-ს კი ქვეყნის მთავარ საფრთხედ რუსეთი მიაჩნია, 65%-ის აზრით კი, რუსული აგრესია საქართველოში ისევ გრძელდება.

მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად რესპონდენტთა 54% უმუშევრობას, 18% – ტერიტორიულ მთლიანობას, 9% – ეკონომიკას, ხოლო 2% სოციალური პრობლემებს ასახელებს.

კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 98% აცხადებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად ქრთამის გადახდა არ დასჭირვებია, 62% კი დადებითად აფასებს საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის საქმიანობას ფინანსური კრიზისის დროს.

გარდა ამისა, ბოლო 6 თვის განმავლობაში მოსახლეობის ოპტიმისტური განწყობა გაიზარდა და ის 87%-ს შეადგენს, ნეიტრალურადაა განწყობილი 9%, ხოლო პესიმისტურად – 2%.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები სრულად მოგვიანებით გახდება ცნობილი.

# კახა ძაგანია: „ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთში არაფერი ესაქმებათ!"

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტები ხელისუფლების სამხედრო პოლიტიკას აპროტესტებენ და მოითხოვენ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქონებრივი დეკლარაციის შევსების დროს მიუთითონ, სად სწავლობენ მათი შვილები და რამდენს იხდიან მათ განათლებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ პრესკონფერენცია გამართა და ჯარისკაცების მშობლებს მოუწოდა, არ გაუშვან თავიანთი შვილები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე საბრძოლველად, ანუ სამხედრო მისიების შესასრულებლად.

— მაშინ, როდესაც ჯარში, რეზერვში, ავღანეთში სიცოცხლის ფასად ქართველი ბიჭები ეწევიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს მათ სისხლზე მდგარი ხელისუფლების, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების შვილები უცხოეთში ძვირადღირებულ სასწავლებლეში გართობით არიან დაკავებულები. რეზერვში გაწვეული ნიკა ალფენიძის გარდაცვალებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დღეს ქართული ჯარის მთავარი ფუნქცია სააკაშვილის ნატოსთან მატრაკვეცობა გახლავთ, — განაცხადა კახა ძაგანიამ.

ლეიბორისტული პარტია მოითხოვს რეზერვში, ავღანეთში პირველ რიგში გაწევულ იქნენ მაღალჩინოსნათა შვილები, ასევე ,,მოვითხოვთ კრიმინალური პოლიტიკოსების ლუსტრაციის ფორმატში ქონებრივ დეკლარაციას დაემატოს გრაფა ხელისუფლების მაღალჩინოსანთა შვილების სწავლის ადგილისა და თანხების ოდენობის შესახებ", — აღნიშნა კახა ძაგანიამ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ის, რომ პოლიტიკოსების და მაღალჩინოსნების შვილები სამხედრო სავალდებულო სამსახურს არ გადიოდნენ. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ყველა მაღალჩინოსნის


კახა ძაგანია

შვილი არ არის დახსნილი სამხედრო სამსახურიდან და მათ არ იცავთ იმუნიტეტი.

— უნდა აღმოიფხვრას ის მავნე ჩვევა, რომელიც ჩვენთან დამკვიდრდა წლების წინ. პირველ რიგში სწორედ მაღალჩინოსნების შვილები უნდა მიდიოდნენ ჯარში და ამით უნდა აძლევდნენ სხვებს მაგალითს, — აღნიშნა კახა ძაგანიამ. მისი თქმით, რეზერვში საერთოდ ამორფული სიტუაციაა. გაურკვეველია, ბიუჯეტიდან რა თანხები იხარჯება რეზერვის მომზადებაზე. ძაგანიას თქმით, რეზერვის მომზადების თანხები გაიზარდა, ხოლო მომზადების ვადები კი შემცირდა. იგივე აგვისტოს ომმა აჩვენა, რომ 18-დღიანი მომზადება რეზერვისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

როგორც ლეიბორისტული პარტიის წევრი მიუთითებს, ქართველები სხვის ომში არ უნდა იხოცებოდნენ. შესაბამისად ავღანეთში ქართველ ჯარისკაცებს არაფერი ესაქმებათ.

ძაგანია დარწმუნებულია, რომ ქართველი ჯარისკაცები იმიტომ იმყოფებიან ავღანეთის ტერიტორიაზე, რომ სააკაშვილმა უცხოელების თვალში თავი მოიწონოს და ამ გზით ნატოში საქართველოს გაწევრიანება დააჩქაროს.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელმა ყურადღება გაამახვილა იმ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომლითაც ნაციონალურმა ხელისუფლებამ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადებისთვის თანხა დააწესა. ძაგანიას თქმით, ამ თანხას რიგითი მოქალაქეები ვერ იხდიან და მხოლოდ მაღალჩინოსებისა და მდიდრებისთვის არის ხელმისაწვდომი.

— ეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავიანთი დოყლაპიების ჯარიდან დასახსნელად მიიღეს, — აღნიშნა ძაგანიამ, რომელიც ფიქრობს, რომ ჯარში, სადაც ახალგაზრდები იხოცებიან, მათ შორის რეზერვშიც, მშობლებმა შვილები არ უნდა გაუშვან.

## ნიკა გილაური ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს შეხვდა


ნიკა გილაური

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური დღეს, ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს შეხვდა.

შეხვედრის დროს ორმხრივი ურთიერთობების, ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხები იქნა განხილული.

გილაურმა ყაზახეთის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილის მოწვევა გადასცა, რათა ის 2012 წელს ოფიციალური ვიზიტით თბილისს ეწვიოს.

ნიკა გილაური ასტანას ორდღიანი სამუშაო ვიზიტით 6 დეკემბერს ესტუმრა, სადაც აეროპორტში მისი ყაზახი კოლეგა კარიმ მასიმოვი დახვდა.

პრაიმ-ნიუსი

# ნესტან კირთაძემ სამშვიდობო ინსტიტუტი შექმნა

შორენა კოწოწაშვილი

**5 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ რეგისტრაციაში გაატარა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი“, რომლის დამფუძნებელი და თავმჯდომარეა პოლიტიკოსი და მეცნიერი, პროფესორი ნესტან კირთაძე.**

როგორც ჩვენთან საუბარში ნესტან კირთაძემ განმარტა, ომის შემდგომ საქართველოში ეს არის პირველი სამშვიდობო ინსტიტუცია, რომელიც იწყებს პირდაპირ, ორმხრივ დიალოგს ოსებთან და აფხაზებთან ნდობის, ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების აღსადგენად.


ნესტან კირთაძე

ალსანიშნავია, რომ დროებით დაკარგული ტერიტორიების ერთიანი საქართველოს ფარგლებში შემოერთების და აფხაზ და ოს ხალხებთან დაახლოების კუთხით ფაქტობრივად არაფერი კეთდება. ისტორიკოსი კირთაძე დარწმუნებულია, რომ ორგანიზაცია, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაფუძნდა და რომელიც სწორედ ქართველ, აფხაზ და ოს ხალხს შორის ნდობის მოპოვებასა და ურთიერთობების აღდგენაზეა ორიენტირებული, წარმატებულ პროექტებს განახორციელებს და ამას მალე ყველა დაინახავს.

– „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი“ იქნება მშვიდობის სახლი, რომელიც ხელს უწვდის აფხაზებს და ოსებს მშვიდობიანი თანაარსებობის, თანაცხოვრებისა და თანაყოფობისათვის საფუძვლების მოსამზადებლად და პირველი ნაბიჯების გადასადგემალად. ეს იქნება სამშვიდობო ინსტიტუცია და კერა ორმხრივი და მრავალმხრივი დაილოგისათვის, ადამიანურ დონეზე ჰუმანიტარული ურთიერთობებისათვის, ტრადიციებისა და კულტურული ურთიერთობების განახლებისათვის, პრობლემების განსჯისა და მათი ერთობლივად გადაწყვეტისათვის.

ჩვენი სამშვიდობო ურთიერთობები გარდაუვალი რეალობაა. ჩვენ ერთად გადავდგამთ პირველ ნაბიჯებს ამ რეალობის შესაქმნელად“, – აცხადებს ნესტან კირთაძე.

„ქართულ-ფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“, როგორც სამშვიდობო ინსტიტუციის, მისი პარტნიორებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ორგანიზაციის თავმჯდომარე ნესტან კირთაძე უახლოეს დღეებში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე სპეციალურ განცხადებას გააკეთებს. მანამდე კი გეგმავს ყველა იმ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან გამართოს საკონსულტაციო შეხვედრა, რომელიც ამ საკმაოდ მნიშვნელოვან და საქვეყნო საქმეში დადებით წვლილს შეიტანს.

# „ლიბერთი ბანკი“ ახალ აქციას იწყებს

**ლიბერთი ბანკმა თავის მომხმარებლებს საახალწლო სიურპრიზი მოუწყო. 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ლიბერთი ბანკი მომხმარებლებს აქციას სთავაზობს ფულად გზავნილებზე. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან საერთაშორისო ფულადი გზავნილის ყოველი მესამე მიმღები დასაჩუქრდება 100 ლარით. ასეთი დასაჩუქრებულები უკვე ჰყავს ლიბერთი ბანკს. გამარჯვებულები გუშინ ლიბერთი ბანკის სათავო ოფისში იმყოფებოდნენ.**




ნათია ხურცილავა

**არმენ მატეოსიანი, ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე:**

– ლიბერთ ბანკი 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მართლაც უპრეცედენტო წამახალისებელ საახალწლო აქციას ატარებს საერთაშორისო ფულადი გზავნილების კუთხით, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილის ყოველი მეასე მიმღები ჩვენი ბანკისგან საახალწლო საჩუქარს მიიღებს 100 ლარის ოდენობით. ლიბერთი ბანკი საქართველოში საერთაშორისო ფულადი გზავნილების ბაზარზე უპირობო ლიდერია, მისი ბაზრის წილი 42 პროცენტს შეადგენს. გზავნილების ქსელში ჩართულია ყველა სახის საერთაშორისო ფულადი გზავნილის 21 სისტემა, ყოველთვიურად ჩვენი ფულადი გზავნილების სერვისით სარგებლობს 90 ათასამდე ადამიანი საქართველოს ყველა ქსელსა და სოფელში. ჩვენ, თვის განმავლობაში ვვარაუდობთ ათასზე მეტი გამარჯვებულის ყოლას. უკვე ამ ეტაპისთვის 150-ზე მეტი გამარჯვებული არის საქართველოს სხვადასხვა სოფლებსა და ქალაქებში. ჩვენ ბანკს ყველაზე კარგი დაფარვის ზონა გააჩნია რუსეთის ფედერაციაში, იტალიაში, საბერძნეთში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში, სადაც დიდია ჩვენი თანამემამულე ემიგრანტების რაოდენობა. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი საჩუქარი იქნება მშვენიერი დანამატი იმ ქართული ოჯახებისთვის, ვინც ყოველთვიურად ფინანსური დახმარების სახით თავისი ოჯახის წევრებისგან, ახლობლებისგან იღება ამ გზავნილებს. ბანკს ამისთვის პრაქტიკულად ყველაფერი გააჩნია. ჩვენ გვაქვს რეალიზებული საერთაშორისო ფულადი გზავნილების აბსოლუტურად ყველა სისტემა. საქართველოს მასშტაბით 270-ზე მეტი სერვის ცენტრი და ფილიალი გაგვაჩნია, მოძრავ სერვის ცენტრებთან ერთად. ყველა პირობა არის შექმნილი იმისთვის, რომ კლიენტმა არა მხოლოდ სარფიანად მიიღოს თავისი გზავნილი, არამედ გადარიცხვის ტარიფები ჩვენთან ყველაზე შეღავათიანია, ფულადი გზავნილის განაღდება აბსოლუტურად უფასოა, გარდა ამისა, როგორც უკვე გითხარით, ასეთი სიურპრიზებიც არის.

**თამთა გოგბერაშვილი, გამარჯვებული:**

– ფულადი გზავნილი მქონდა საბერძნეთიდან, რომ მივედი ლიბერთი ბანკში გასანაღდებლად, მომილოცეს, მითხრეს, თქვენ გახდით გათამაშების მონაწილე და 100 ლარი მოიგეთო. ძალიან გამიხარდა, რადგან დამატებით მომცეს 100 ლარი. არ ვიცოდი, რომ ბანკს გათამაშება ჰქონდა, არანაირი რეკლამაც არ იყო გასული. ჩემი გზავნილის ასაღებად მივედი ბანკში, ყველა მილოცავდა. ძალიან კარგი პროექტია, უფრო ზუსტად კი, ძალიან კარგი სიურპრიზია. ყველა ადამიანს გაუხარდება, რომ დამატებით აიღოს 100 ლარი. ეს მართლა საჩუქარია ბანკისგან. სტუდენტი ვარ და ეს თანხა გამომადგება. გზავნილებს რაც შეეხება, ძალიან ადვილად და მარტივად ვიღებ მას ლიბერთი ბანკში. ყოველთვის ლიბერთი ბანკში ვიღებ გზავნილს. მიყვარს ეს ბანკი და დიდი მადლობა მას. სიმართლე გითხრათ, კიდევ მაქვს იმედი, რომ მოვიგებ, რადგან 31 დეკემბრამდე გრძელდება. ხშირად ვსარგებლობ ამ ბანკით და იმედი მაქვს, რომ კიდევ გავიმარჯვებ.

**ნუნუ წიკლაური, გამარჯვებული:**

– ჩემი ქალიშვილი ვლადივოსტოკში ცხოვრობს და ხშირად მიგზავნის თანხას. 300 დოლარი გამომიგზავნა და მის ასაღებად რომ მივედი, ბანკში მითხრეს, 100 ლარი მოვიგე. ბანკის ყველა თანამშრომელი მილოცავდა, ავჭალის ფილიალში ავიღე გზავნილი. ბარათზე მაქვს თანხა დარიცხული და როცა მინდა, მაშინ ავიღებ. ძალიან გამახარეს. სრულიად მოულოდნელი იყო ამის შესახებ ჩემთვის. ნამდვილად საახალწლო საჩუქარია. ძალიან კარგი პროექტია. მინდა წარმატებები ვისურვო ლიბერთი ბანკს, რადგან ძალიან კარგად გვემსახურებიან, გზავნილებს უპრობლემოდ, ადვილად ვიღებ და მასზე დამატებული 100 ლარი დიდი სიხარული იყო. კიდევ მაქვს იმედი, რომ გავიმარჯვებ.

ლიბერთი ბანკი, როგორც გენერალური დირექტორის მოადგილემ გვითხრა, თავის ერთგულ მომხმარებლებს საინტერესო სიურპრიზებსა და წამახალისებელ აქციებს მომავალშიც შესთავაზებს.

# ეთნიკური უმცირესობებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმა ითარგმნა

მომავალი 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე ითარგმნა.

ამ თემასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ და სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის დირექტორმა ნათია ჯოხაძემ ბრიფინგი გამართეს.

მათი ინფორმაციით, შეიქმნა 2011-2016 წლების ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის მთავარი დანიშნულება სასწავლო პროცესის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში მოქცევაა. ახალი გეგმა 2011-2012 სასწავლო წლიდან ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით საფეხურზე (I-VI კლ.) უკვე ამოქმედდა, ხოლო 2012-2013 სასწავლო წელს საბაზო და საშუალო საფეხურებზე (VII-XII კლ.) დაინერგება.

საქართველოს არაქართულენოვან სკოლებისა და სექტორების დაწყებით საფეხურზე (I-VI კლ.), ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის იმპლემენტაცია 2012-2013 სასწავლო წელს დაიწყება, ხოლო 2013-2014 სასწავლო წელს – საბაზო და საშუალო საფეხურებზე (VII-XII კლ.) დაინერგება.შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრმა დაასრულა 2011-2016 წლების ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის თარგმნა ეროვნული უმცირესობების ენებზე (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული). აღნიშნულ თარგმანზე იმუშავეს როგორც დარგობრივმა ექსპერტებმა, ასევე მოქმედმა პედაგოგებმა.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის თარგმნა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი წინაპირობაა ეროვნული უმცირესობების ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისთვის.

პრაიმ-ნიუსი

# დიმიტრი ლორთქიფანიძე ხათუნა კალმახელიძისაგან წერილს ელოდება

დასაწყისი მე-5 გვერდზე


დიმიტრი ლორთქიფანიძე

– სანამ მისი საქმე სასამართლოში იხილებოდა, დადვანთან ციხეში სისტემატურად შევდიოდი. შემდეგ კი, როდესაც უზენაესმა სასამართლომ მისი საქმე წარმოებაში არ მიიღო და ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, ორი თვის განმავლობაში აღარ შევსულვარ.

27 ოქტომბერს ჩემთან თამაზ დადვანის მშობლები მოვიდნენ და მითხრეს, რომ მათი შვილი ძალიან ცუდად იყო. ასე მითხრეს, თამაზს ვერ იცნობ, ისეთი გამხდარიაო. მე მაშინვე შევედი მასთან ციხეში მოსანახულებლად. რომ ვნახე, ფაქტობრივად, ჩონჩხად იყო ქცეული. აღსანიშნავია, რომ მე მაშინვე შევიტანე განცხადება სასჯელაღსრულების დეპარტამენტში და მოვითხოვე დადვანის გადაყვანა ე.წ. “რეზბალნიცაში”. მართლაც იგი მეორე დღესვე გადაიყვანეს ციხის სამკურნალო დაწესებულებაში. თუმცა ეს ჩემი განცხადების საფუძველზე კი არ მომხდარა, თავად ციხის მთავარმა ექიმმა რომ ნახა ასეთ ცუდ მდგომარეობაში, მისი მითითებით მოხდა დადვანის გადაყვანა „რეზბალნიცაში“.

გეტყვით, რა მომიყვა დადვანმა მაშინ, როდესაც მოვინახულე. მან მითხრა, რომ მას სამჯერ ძალიან მაგრად სცემეს. ამასთანავე ასე თქვა – სადაც გტკივა, სწორედ იქ გირტყამენო. მითხრა, რომ ამის შემდეგ ძალიან ცუდად იყო და ექიმი საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას. მას ვითომ აძლევდნენ ანტიბიოტიკებს, მაგრამ მას ეჭვი ჰქონდა, რომ რაღაც ძლიერ დამამშვიდებელ პრეპარატებს ასმევდნენ, რადგან ამ აბების მიღების შემდეგ მაშინვე ეძინებოდა. ერთხელ კი რაღაც ისეთი დაალევინეს, რომ სამი დღის განმავლობაში სულ ეძინა და პატიმრებმა ძლივს გამოიყვანეს ამ მდგომარეობიდან, – აცხადებდა ადვოკატი.

დაახლოებით სამი კვირის შემდეგ, დადვანის სანახავად მისი ოჯახის წევრები შევიდნენ. გაირკვა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში თამაზ დადვანის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მშობლებს ის ინვალიდის ეტლში, კიდევ უფრო გამხდარი დაახვედრეს. მას უკვე მეტყველებაც უჭირდა. დადვანმა ამჯერადაც თქვა, რომ მხოლოდ რაღაც აბებს აძლევდნენ. ექიმების თქმით, დადვანს ტუბერკულოზი ჰქონდა. თუმცა ამ დაავადების შესაბამის მკურნალობას აშკარად, არ უტარებდნენ.

დადვანის ადვოკატმა და ახლობლებმა მისი გარდაცვალების წინა დღესაც ნახეს პატიმარი.

– საშინელება ვნახე. დადვანი იწვა ჩვეულებრივ ოთახში, სადაც არ იყო არც ხელოვნური სუნთქვის აპარატი და არც სხვა ისეთი რამ, რაც უნდა იყოს ინტენსიური თერაპიის კაბინეტში. ეს იყო უბრალო პალატა, სადაც პატიმარი მოკუნტული იწვა და ტანზეც კი არაფერი ეფარა. თამაზ დადვანი საშინელ მდგომარეობაში იყო, ფაქტიურად ვერც კი მოძრაობდა და სუნთქვა ძალიან უჭირდა... მეორე დღეს ის გარდაიცვალა და ოჯახის წევრებს პატიმრის ცხედარი იქამდე არ გამოატანეს, სანამ ხელი არ მოაწერინეს ხელწერილზე, რომ მერვე ციხის ადმინისტრაციასთან არანაირი პრეტენზია არ ექნებოდათ. დადვანს უკვე ჩატარებული ჰქონდა ექსპერტიზა, იგი გაკვეთილი იყო და მთელი შინაგანი ორგანოები ჰქონდა ამოცლილი, – აცხადებდა ადვოკატი.

ხათუნა კალმახელიძეს ასეთ ფაქტებზე კომენტარების კეთება არ უყვარს. ფაქტია, ამ პატიმრის და სხვათა საეჭვო ვითარებეში გარდაცვალების შესახებ მისი განცხადების მოძიება ჭირს. საინტერესოა, რეალურად, მიაწვდის თუ არა მინისტრი დეპუტატ ლორთქიფანიძეს დაპირებულ დოკუმენტს. დიმიტრი ლორთქიფანიძემ პარლამენტში ხათუნა კალმახელიძეს უსაყვედურა, რომ მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა არაადამიანური მოპყრობისა და წამების ფაქტებზე, რაც სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში არის ნახსენები. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიამ დიმიტრი ლორთქიფანიძის პასუხად აღნიშნა, რომ კალმახელიძე ამ საკითხზე სასაუბროდ არ იყო მიწვეული. შესაბამისად, მინისტრს ამაზე ახსნა-განმარტება არ გაუკეთებია. ლორთქიფანიძემ კომუნიკაციის პრობლემის არსებობის გამო საყვედური სამინისტროს პრესცენტრის მისამართითაც გამოთქვა.

– პრესცენტრის მიმართ პრეტენზიები ობიექტურად ისმის ხოლმე, – აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ. თუმცა მისი პრეტენზია კალმახელიძისთვის გაუგებარი აღმოჩნდა.

– რა შუაშია პრესცენტრი, როცა ჩვენ ახლა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შექმნაზე ვსაუბრობთ? ყოველთვის შეგიძლიათ, პირადად მე დამიკავშირდეთ. მაგრამ ამას მიკროფონთან აკეთებთ ხოლმე, – მიმართა კალმახელიძემ ლორთქიფანიძეს.

ხათუნა კალმახელიძე მხოლოდ თავისი უწყების პიარზე მუშაობს. ამიტომაც ამბობს, რომ წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობა ისე აღარ იზრდება, როგორც აქამდე იზრდებოდა. მინისტრს კონკრეტული მონაცემები არ წარმოუდგენია, თუმცა აღნიშნა:

– ეს სისხლის სამართლის პოლიტიკისადმი ლიბერალური მიდგომისა და განხორციელებული რეფორმების შედეგია და ალბათ, ასეთი ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

კალმახელიძის ინფორმაციით, მიმდინარე წელს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ალტერნატივით 700-მა პატიმარმა ისარგებლა, ხოლო 200-მდე პირის განცხადება განხილვის ფაზაშია. ამასთან, განრიდება 75-ზე მეტ ადამიანს შეეხო.

სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ლაშა თორდიამ აღნიშნა, ეს სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ პენიტენციალურ სისტემაში რეფორმები წარმატებით მიმდინარეობს. მისივე თქმით, საპარლამენტო კომიტეტი ამ რეფორმებს მუდმივ მონიტორინგს უწევს.

# სააკაშვილი საავადმყოფოებს მარტო პიარისთვის ხსნის

ქეთი ხომერიკი

„მინდა, ვუთხრა ურწმუნო თომებს, რომლებიც იძახდნენ, რომ ჩვენ 100 ახალ საავადმყოფოს ვერ ავაშენებდით და ახლა იძახიან, რომ ახალ ქალაქ ლაზიკას ვერ ავაშენებთ, რომ ჰოსპიტალურ სექტორში მილიარდი ლარის ინვესტიცია ჩაიდო. საქართველოში 150 ახალი ულტრათანამედროვე საავადმყოფო შენდება. ჩვენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და აღმოსავლეთ ევროპაში ჯანდაცვის ყველაზე მაგარ სისტემას ვქმნით“, – განაცხადა სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ თერჯოლაში ახალი საავადმყოფოს გახსნისას. მართალია, პრეზიდენტი ირწმუნება, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და აღმოსავლეთ ევროპაში ჯანდაცვის ყველაზე მაგარ სისტემას ვქმნით, მაგრამ ეს მთლად ასე ნამდვილად არ უნდა იყოს. როგორ ვითარდება ჯანდაცვის სისტემა, რამდენად საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის 150 საავადმყოფო და რამდენად წარმატებული იქნება ეს პროექტი? ამ და სხვა საკითხებზე ,,ახალი თაობა“ წინააღმდეგობის მოძრაობის ჯანდაცვის ომბუდსმენს, მარინა ბერაძეს ესაუბრა.



მარინა ბერაძე

**მარინა ბერაძე:**

– გვინდა შევეხმიანოთ ბოლო დღეებში პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წამოწყებულ კამპანიას, რომელიც შეეხება საავადმყოფოების გახსნის თემას.

მოგეხსენებათ, რომ მათ მიზნად დაისახეს დამდეგ 2012 წლამდე საქართველოში გახსნან 30 საავადმყოფო, ანუ დღეში დაახლოებით 1 საავადმყოფო სხვადასხვა რაიონულ ცენტრში.

პირველ ყოვლისა, საავადმყოფოების უთავბოლო გახსნა რომ პიარის დიდი ნაწილია, მგონი, ეჭვიც არავის ეპარება, ამიტომ სასურველია ნაუცბათევად გახსნილი საავადმყოფოების საინჟინრო-კონსტრუქტორული მზაობა ისეთი არ იყოს, რომ პირველსავე უამინდობაზე ხუხულასავით დაინგრეს, რისი არაერთი მაგალითიც გვაქვს ჩვენს ქვეყანაში.

წინაამდეგობის მოძრაობა და ასოციაცია „გვახსოვდეს ჰიპოკრატე“ რამდენიმე წელია, ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდება, წერს, რომ ჯანდაცვის სისტემის განვითარების დარგში მოქალაქეთა ჯანმრთელობის დასაცავად პოლიტიკის ძირითადი ამოცანა არის:

– სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა;

– კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების რეალიზება, ჯანსალი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

***– და ინფორმაციები, რომლებიც მოსახლეობას მიეწოდება ტელეეკრანებიდან, იგივე მმართველი გუნდის განცხადებები, რამდენად შეესაბამება სიმართლეს?***

– ძალიან კარგია, რომ დღეს ტელეეკრანებიდან გვესმის პრეზიდენტის, მთავრობისა თუ ჩინოსნების დაზეპირებული ფრაზები სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესებასა და ხელმისაწვდომობაზე, რასაც უდავოდ ჩვენს აქტივში ჩავიწერთ, ისევე როგორც 100 ჰოსპიტალისა და გაძვირებული მედიკამენტების თემებზე პრეზიდენტის ადეკვატურ გამოხმაურებას. ძალიან გაგვიხარდება, თუ ჩვენი მოსახლეობა ამ ყველაფერს რეალურად მიიღებს, თუმცა არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა გზებით მოახერხებს ამას.

***– რა ამოცანები უნდა გადაჭრას ხელისუფლებამ პირველ ყოვლისა?***

– მიზეზები, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, შემდეგია:

1. – მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების ხარისხის დაქვეითება:

– ხელფასის და საპენსიო უზრუნველყოფის დაბალი დონე; სამომხმარებლო კალათის გაძვირება.

– ცხოვრების, შრომის და დასვენების პირობების გაუარესება;

– გარემოს გაუარესება;

– კვების ხარისხის და სტრუქტურის გაუარესება.

2. მეტისმეტად სტრესული დატვირთვა.

3. კულტურის ზოგადი დონის შემცირება, მათ შორის სანიტარიულ-ჰიგიენური, რაც ხელს უწყობს მავნე წესების განვითარებას და არაჯანსალი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

საჭიროდ მიგვაჩნია შევახსენოთ ხელისუფლებას ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის 25-ე მუხლი;

თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფო ვალდებულია გახდეს გარანტი მოქალაქის უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის შემთხვევაში უზრუნველყოს საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლის, საჭირო სოციალური მომსახურებისა და ზოგადად ცხოვრების ისეთი დონე, რომელიც აუცილებელია მოქალაქისა და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

ასეთი დაცულობის უზრუნველყოფისათვის სახელმწიფომ პირველ ყოვლისა საკანონმდებლო წესით უნდა დაადგინოს ძირითადი სოციალური გარანტიები, მათი რეალიზაციისა და სოციალური მხარდაჭერის მიწოდების გზები.

საქართველოს მედიცინა წარმოადგენს „დაავადების მედიცინას“ და არა „ჯანმრთელობის მედიცინას“. ძირითადად ფინანსირდება მედიცინის ის დარგები, რომლებიც დაკავშირებულია ძვირადღირებულ აპარატურასთან, შორს წასული ავადმყოფობის დიაგნოსტიკისა და რთული ოპერაციების განხორციელებასთან. ამის დასტურია ჰოსპიტალური სექტორის ეს გამალებული მშენებლობები.

სამწუხაროდ, უგულებელყოფილია პირველადი ჯანდაცვა და დაავადებათა პრევენცია, რომლითაც უნდა სარგებლობდეს მოსახლეობის 80 %-ზე მეტი. ცნობისთვის, ჰოსპიტალური მომსახურებით სარგებლობს მოსახლეობის მხოლოდ 7-8 %.

***– ხომ არსებობს სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც აფინანსებენ სხვადასხვა დაავადებებს?***

– საქართველოში სიკვდილის ძირითად მიზეზად ითვლება: გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები, ტრავმები, მოწამვლები და გარე მიზეზების ზემოქმედების შედეგები, რომლითაც ყოველწლიურად საქართველოში დაახლოებით 47 000 ადამიანი კვდება, რომლის 26% რეპროდუქციულ და შრომისუნარიან მოსახლეობაზე მოდის.

ამის მიზეზია ის, რომ შემოღებულია ასაკობრივი ზღვარი 5-დან 60 წლამდე. ამ ასაკის ადამიანები მოკლებული არიან ხელმისაწვდომ სამედიცინო დახმარებას, რაც ყოვლად დაუშვებელია.

რეფორმის წარმატება ჯანდაცვაში განისაზღვრება ერთიანი მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკით, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის კრიზისიდან გამოსვლის გზებს.

***– რამდენად საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის 150 საავადმყოფო და რამდენად წარმატებული იქნება ეს პროექტი?***

– დავუბრუნდეთ ჩვენს ძირითად თემას.

მთავრობა ხან 100, ხან 150 ხან 170 ახალი კლინიკის აგებას აანონსებს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ყველაფერი სუმბურულ, დაუთვლელ გაანგარიშებებს ემყარება.

გაუგებარია, თუ ამ ყველაფერს სადაზღვევო კომპანიები აშენებენ და თუ მათ ეს მთავრობისაგან დავალებული არ აქვთ, რა შუაშია აქ სახელმწიფო და პრეზიდენტი, თუ ამას სახელმწიფო აშენებს, მაშინ რა შუაშია აქ კერძო სადაზღვევო კომპანიები.

საქმე ისაა, რომ ჩავარდნილი 100 საავადმყოფოს პროექტის ნაცვლად დღევანდელი მდგომარეობით ჰოსპიტალური სექტორი, მათ შორის სახელმწიფო სახსრებით აშენებული საავადმყოფოები, პრაქტიკულად მთლიანად გადაეცათ სადაზღვევო კომპანიებს („არქიმედეს გლობალ ჯორჯია“, აგი ბი-სი-აი“, „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“, „აი-ი-სი ჯგუფი“, „იმედი ლ“, „ირაო“, „ვესტი“, „ალფა“, „სახალხო დაზღვევა“ და სადაზღვევო კომპანია „ქართუ“), რომელთაც ევალებათ სხვადასხვა რეგიონებში 5-15-25-50-100 ადგილიანი საავადმყოფოების აშენება, რომელთაც რა მოგება ექნებათ, ქვემოთ მოგახსენებთ.

კონტროლის პალატა თავის ბოლოდროინდელ დასკვნაში ასკვნის, რომ დაზღვევის სექტორი ხასიათდება შემდეგი მომატებული რისკებით და ნაკლოვანებებით:

1. სამედიცინო ტარიფების დაუსაბუთებელ ისტორიულ სტატისტიკაზე დაფუძნება,

2. სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების არაჯეროვანი ფინანსური მართვა,

3. პროგრამული საბიუჯეტო თანხების არასწორად ანაზღაურება,

4.პაციენტთა მომსახურების არამართლზომიერად ანაზღაურება და პაციენტისთვის გაწეულ მომსახურებათა არასწორი აღრიცხვიანობა და ა.შ და ა.შ.

***– ყოველივე ამის შემდეგ, რა გარანტია გვაქვს, რომ ეს კომპანიები პირნათლად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს?***

რაც შეეხება ფინანსურ მხარეს:

15-25-საწოლიანი, თანაც მრავალპროფილიანი საავადმყოფო მოითხოვს ელემენტარულად აუცილებელი სერთიფიცირებული სპეციალისტების დასაქმებას: თერაპევტი, ქირურგი, ინფექციონისტი, გინეკოლოგი, რეანიმატოლოგი და სხვა „ვიწრო“ სპეციალობის ექიმები.

ამას ემატება დაახლოებით ამდენივე საშუალო და დაბალი მედპერსონალი (უმცროსი ექიმი, ექთანი, სანიტარი), მორიგე პერსონალი, რომელიც ყოველ მე-4 დღეს მორიგეობს, ანუ ფაქტიურად 3-4 ამდენი.

ამას დავუმატოთ ადმინისტრაცია, აფთიაქი, ლაბორატორიები, მნე, დარაჯი ( ან დაცვა), ბუღალტერია, სამრეცხაო, ტექნიკური პერსონალი (აირების და აპარატურის მომსახურებაზე) და კიდევ სხვა. გამოდის სულ მცირე 50, უარეს შემთხვევაში 70 ადამიანი.

კლინიკის 80%-85% -ით დატვირთვის პირობებშიც კი (საერთაშორისო ნორმატივია გეგმური პაციენტებისათვის -85%, გადაუდებელი პაციენტებისათვის -80%) პაციენტთა რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს პერსონალის შრომის, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ხარჯების, შენობის ამორტიზაციის, აპარატურის განახლების, კომუნალური გადასახადების და სხვა ხარჯების ანაზღაურებას, რის გამოც ამ კლინიკებს დასჭირდებათ დამატებითი თანხების მოძიება, სავარაუდოდ დოტაციის სახით. სხვა შემთხვევაში მათ გაკოტრება ელოდებათ. (ამის მაგალითია სადაზღვევო კომპანია „ვესტი, რომელიც უკვე გაკოტრდა და თავის აქტივები სხვას გადასცა.)

გამომდინარე აქედან ეს კლინიკები წამგებიანი იქნება სადაზღვევო კომპანიებისათვის.

ამის ნათელი მაგალითი უკვე გახდა ამბროლაურის რაიონული საავადმყოფო, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა და ჯანდაცვის მინისტრმა ზარ-ზეიმით გახსნეს, მაგრამ კლინიკა არ იტვირთება და ხალხი ისევ ქუთაისში მიდის ჰოსპიტალიზაციისათვის.

სხვა საკითხია შესაბამისი კადრების არარსებობა (იმ პირობებში როდესაც საქართველოში სერთიფიცირებულ ექიმთა რაოდენობამ გადააჭარბა 36 000 -ს და დასაქმებულია მხოლოდ 20 000 -ზე ოდნავ მეტი). არა გვყავს ექიმი „ჰოსპიტალისტი“, ექიმი „ინტენსივისტი“ ( ამერიკული მხარის დახმარებით გადამზადდა მხოლოდ 16 ექიმი) და სხვა.

გაუთვლელია ხელმისაწვდომობა და საერთოდ დაუგეგმავადაა დათვლილი თუ რამდენი საავადმყოფო, რამდენი საწოლი და კონკრეტულად სად სჭირდება ქვეყანას.

სანამ დარგის მესვეურები ამას დათვლიან და შეპირებულ სპეციალისტებსაც გადაამზადებენ, მანამდე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მოსახლეობის 75 % ვერ ღებულობს გადაუდებელ ჰოსპიტალურ დახმარებას და 42 %-პირველად სამედიცინო მომსახურებას (სახელმწიფოს ხარჯზე). მანამდე კი იმედით დაველოდოთ, როდის შეგვისრულდება 67 წელი და პრეზიდენტის სულ ცხელცხელი დაპირება;

„ჩვენ ვქმნით საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე მაგარ ჯანდაცვის სისტემას“.

## ამხანაგობები მოსაკრებლის გადამხდელები ხდებიან

ამხანაგობები მოსაკრებლის გადამხდელები ხდებიან. შესაბამისი ცვლილება მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ კანონში შედის. მისი ავტორები და ინიციატორები დეპუტატები: გურანდა ჯაბუა და ანდრო ალავიძე არიან.

კანონპროექტის მიხედვით, მოსაკრებლის გადამხდელები იქნებიან როგორც ფიზიკური და იურიდიული პირები, ისე ამხანაგობები, რომლებსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლებას ანიჭებენ. მოსაკრებლის გადამხდელი იქნება ის ამხანაგობაც, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გარკვეულ მომსახურებას უწევენ.

კანონპროექტს დღეს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი განიხილავს.

მედიანიუსი

## ,,უმუშევართა კავშირი“ არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის იბრძოლებს

გუშინ ,,უმუშევართა კავშირმა დასაქმებისათვის“ და ,,თავისუფალ ასოციაციათა კავშირმა“ საქართველოს პარლამენტთან აქცია გამართეს.

როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, ,,უმუშევართა კავშირი“ გამოდის ახალი ინიციატივით და ქმნის ახალ მიმართულებას ,,უმუშევართა კავშირი – სამართლიანი არჩევნებისათვის“, რომლის ლოზუნგი იქნება ,,ველარ მოგვატყუებთ“.

,,თავისუფალ ასოციაციათა კავშირის“ თავმჯდომარის ალექსანდრე შალამბერიძის თქმით, ,,უმუშევართა კავშირი“ არჩევნების სამართლიანად და თავისუფლად ჩასატარებლად იბრძოლებს.


ალექსანდრე შალამბერიძე

,,უმუშევართა კავშირი სამართლიანი არჩევნებისთვის“ იბრძოლებს 150-კაციანი პარლამენტის შენარჩუნებისთვის, სააკაშვილის ტირანიის ხელოვნურად შემნარჩუნებელი მაჟორიტარული სისტემის დემონტაჟისთვის, ამომრჩეველთა სიების რეალურად დაზუსტებისთვის და საარჩევნო კომისიის მონიტორინგისთვის,“ – განაცხადა შალამბერიძემ.

,,დღეს საქართველოს მთავრობას და პარლამენტს არ აინტერესებთ ის საკითხები, რაც აღელვებს საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს. იმისთვის, რომ მივიღოთ ის პარლამენტი, რომელიც მართლა შეისმენს ხალხის აზრს, საჭიროა ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები. ჩვენ, უმუშევრები, ხელისუფლებას ვთავაზობთ ჩვენს ძალებს, შეგვიძლია არჩვენებს გავუწიოთ მონიტორინგი და ვიმუშაოთ დამკვირვებლებად, რომ ჩატარდეს ნორმალური არჩევნები,“– განაცხადა ,,უმუშევართა კავშირის“ თავმჯდომარემ თამარ იოვაშვილმა.

ასოციაციის წევრები გაჩერებას იქამდე არ აპირებენ, ვიდრე უმუშევართა დასაქმების საქმე ქვეყანაში არ გადაწყდება. მათი თქმით, ამ საკითხის გადაწყვეტის გზა გადის სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებაზე, რომელმაც ბოლო 20 წელიწადში დაამტკიცა საკუთარი ქმედუუნარობა, ქმედითი ნაბიჯები გადაედგა მოსახლეობის კეთილდღეობის გასაზრდელად.

მედიანიუსი

## დავით ბაქრაძე რუსეთის არჩევნებზე საერთაშორისო ორგანიზაციების შეშფოთებას უერთდება

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის შეფასებით, რუსეთში ჩატარებული არჩევნები თვალსაჩინო მაგალითი უნდა იყოს ყველა იმ ადამიანისთვის საქართველოში, ვისაც მიაჩნია, რომ რუსეთში უფრო დემოკრატია უფრო განვითარებულია, ვიდრე საქართველოში. მან ეს განცხადება ჟურნალისტებთან საუბრისას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კომენტირებისას გააკეთა.

ბაქრაძემ ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციის შეშფოთება გაიზიარა, რომელსაც საშუალება ჰქონდა რუსეთში მიმდინარე არჩევნებს დაკვირვებოდა.

„თავიანთი პოზიცია მკაფიოდ გამოხატეს როგორც საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა ისე სახელმწიფოებმა. ბუნებრივია, მათ შეშფოთებას ვიზიარებ და მთლიანად ვეთანხმები. ის, რაც ორი დღის წინ რუსეთში მოხდა, რა ფორმითაც არჩევნები ჩატარდა, უნდა იყოს თვალსაჩინო მაგალითი ყველა იმ ადამიანისთვის საქართველოში, ვისაც მიაჩნია, რომ რუსეთში უფრო განვითარებულია დემოკრატია, ვიდრე საქართველოში“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მედიანიუსი

# ლექსო თორაძემ მასტერკლასები ჩაატარა

ეკა ირემაშვილი

მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა პიანისტმა ლექსო თორაძემ ფონდ „იავნანასთვის“ გამართული კონცერტების შემდეგ, ნიჭიერთა ათწლედში მოსწავლეებისთვის და თბილისის კონსერვატორიაში სტუდენტებისთვის მასტერკლასები გამართა. თბილისის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში ლექსო თორაძის ღია გაკვეთილს მოსწავლეებთან ერთად პედაგოგები და მუსიკოსებიც დაესწრნენ. პიანისტმა ნიჭიერთა ათწლედის 5 წარჩინებულ მოსწავლეს, რომლებმაც კლასიკური საფორტეპიანო რეპერტუარიდან სხვადასხვა ნაწარმოები შეასრულეს, მნიშვნელოვანი და საყურადღებო რჩევები მისცა. სიმბოლურია, რომ პიანისტი, რომელიც მსოფლიოს პრესტიჟული საკონცერტო დარბაზების სასურველი სტუმარია, თავის დროზე სწორედ „ნიჭიერთა სკოლის“ მოსწავლე იყო. თბილისში დაბადებულმა პიანისტმა დაამთავრა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორია, რომლის პროფესორი ახლაც გახლავთ. ლექსო თორაძე საყოველთაოდ აღიარებული რომანტიკული ტრადიციის გამგრძელებელი ვირტუოზი შემსრულებელია. მისი მშობლებიც ცნობილი ადამიანები არიან – მამა დავით (გუგული) თორაძე გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორია, ხოლო დედა – ლიანა ასათიანი, ცნობილი ქართველი კინომსახიობი. პროფესიული მუსიკალური განათლება პიანისტმა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიღო. თავისი უჩვეულო ინტერპრეტაციით, ღრმად პოეტური ლირიულობითა და ემოციურობით მან მნიშვნელოვნად გაამდიდრა საფორტეპიანო მემკვიდრეობა.

ლექსო თორაძე მუდმივად გამოდის მსოფლიოს წამყვან ორკესტრებთან ერთად, როგორიცაა ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ ოპერას ორკესტრი, ბოსტონის, ჩიკაგოს, კლივლენდის, ფილადელფიის, ლოს-ანჟელესის, სან-ფრანცისკოს, მინესოტას, ჰიუსტონის, მონრეალის, ტორონტოს, დეტროიტის, პიცბურგის, ბალტიმორის, ცინცინატის, სიეტლისა და ვაშინგტონის ორკესტრები. საზღვარგარეთ იგი რეგულარულად მოგზაურობს კიროვის სახელობის თეატრის, ლა სკალას ფილარმონიულ, ბავარიის რადიოს, სანკტ-პეტერგურგის ფილარმონიულ, საფრანგეთის ნაციონალურ, ბირმინგემის სიმფონიურ, ლონდონის სიმფონიურ და ფილარმონიულ, ლონდონის ფილარმონიის, ისრაელის ფილარმონიულ ორკესტრებთან და, აგრეთვე, გერმანიის, პოლონეთის, ჩეხეთის, ჰოლანდიის, ფინეთის, ნორვეგიის, შვედეთის და იტალიის ორკესტრებთან ერთად. 2003 წლის ივნისში შედგა მისი ტრიუმფალური დებიუტი ბერლინის ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად, რომელსაც დირიჟორობდა ვლადიმერ იუროვსკი. ქართველი პიანისტი რეგულარულად იღებს მონაწილეობას მრავალ საზაფხულო მუსიკალურ ფესტივალში, როგორიცაა ზალცბურგის ფესტივალი, სანკტ-პეტერბურგის „თეთრი ღამეები“, ბი-ბი-სი-ს მიერ ლონდონში გამართული პრომენად კონცერტები, ედინბურგის, როტერდამის, მიკელის (ფინეთი), აგრეთვე, ფესტივალები ჰოლივუდის საზაფხულო თეატრში „ჰოლივუდ ბაულ“, სარატოგასა და რავინიაში. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში იგი საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა. მას მიენიჭა მარტინ ბაქსბაუმის სახელობის პროფესორის წოდება ფორტეპიანოს განხრით საუთ ბენდში მდებარე ინდიანას უნივერსიტეტში, სადაც მან შექმნა უნიკალური სასწავლო გარემო. ლექსო თორაძის საფორტეპიანო სტუდიის მრავალეროვანი შემადგენლობა არის ანსამბლი, რომელმაც მსოფლიო კრიტიკოსთა დიდი მოწონება დაიმსახურა. 2002-2003 წლების სეზონში სტუდიის წევრმა მუსიკოსებმა შეასრულეს ბახის სოლო კონცერტებისა და სკრიაბინის სონატების სრული ციკლი ნიუ-იორკში. სტუდიამ აგრეთვე განახორციელა პროექტები, რომლებიც გულისხმობდა რახმანინოვის, პროკოფიევის, დვორჟაკისა და სტავინსკის ნაწარმოებების შესრულებას რომში, ვენეციასა და რავენაში (იტალია), რურისა და ბერლინის საფორტეპიანო ფესტივალებზე და, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში ბოსტონი, ჩიკაგო და ვაშინგტონი.

– მასტერკლასებით კმაყოფილი ვარ. ძალიან მიხარია, რომ ნიჭიერთა ათწლედში კვლავაც არიან არაჩვეულებრივი მოსწავლეები და მათ არაჩვეულებრივი პედაგოგები ჰყავთ. მოხარული ვიქნები, თუკი ჩემს რჩევებს ისინი მომავალში გაითვალისწინებენ. მათ ჩვენი თანადგომა განსაკუთრებულად სჭირდებათ, რადგან ისინი ჩვენი მომავალი არიან, – განაცხადა მან.

ნიჭიერთა ათწლედში სტუმრობის შემდეგ ლექსო თორაძემ კონსერვატორიაში გადაინაცვლა, სადაც მასტერკლასი კონსერვატორიის სტუდენტებისთვის ჩაატარა.



– ლექსო თორაძე ის სახელი და გვარია, რომლითაც ქართველობა ყოველთვის იამაყებს. მისი ღია გაკვეთილები მნიშვნელოვანი და საინტერესოა როგორც ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლეთა და მათი პედაგოგებისთვის, ასევე კონსერვატორიის სტუდენტებისთვის. მისი ყოველი ჩამოსვლა საქართველოში დიდი დღესასწაულია, მისი ყოველი კონცერტი ამის დასტურია. თუკი საქართველოში ვიზიტისას მასტერკლასსაც ჩაატარებს, ეს ორმაგი დღესასწაულის ტოლფასია, – განაცხადა კონსერვატორიის რექტორმა რევაზ კიკნაძემ.

# ოპერისა და ბალეტის თეატრმა საავტორო უფლებების ლიცენზია იყიდა

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა სალიცენზიო შეთანხმებას მოაწერა ხელი საავტორო უფლებების ასოციაციასთან, რაც საავტორო უფლებების დაცვას გულისხმობს. ლიცენზიას ხელი მოაწერეს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარემ გიგა კობალაძემ და თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მმართველმა დავით საყვარელიძემ. ხელმოწერის ცერემონია მთავრობის კანცელარიის დარბაზში შედგა, სადაც თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში სარეპეტიციო მზადებას გადის ოპერის შემოქმედებითი კოლექტივი.

– ამ ლიცენზიის საფუძველზე, ამიერიდან თეატრში გამართული წარმოდგენები საავტორო უფლებებით იქნება დაცული, თეატრის მიერ სპექტაკლების რეჟისორების, კომპოზიტორების, ლიბრეტოების ავტორების, კოსტიუმების მხატვრებისა და სხვა ავტორებისათვის ჰონორარები იქნება გადახდილი, რაც მათ ასოციაციის მეშვეობით გაუნაწილდებათ. მათი ნამუშევრები დაცული იქნება და მითვისება ან უნებართვოდ გამოყენება სხვა პირს არ შეეძლება. ყველა იმ ხელოვანის საავტორო უფლება, ვინც ჩვენთან ითანამშრომლებს, სრულფასოვნად იქნება დაცული, – განაცხადა შეთანხმების ხელმოწერისას თეატრის მმართველმა დავით საყვარელიძემ.

როგორც შეთანხმების ხელმოწერაზე საავტორო უფლებების ასოციაციის ხელმძღვანელმა გიგა კობალაძემ განაცხადა, ეს ჩვენი საზოგადოების სწორ გზაზე დასაყენებლად კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

– ჩვენ ნელ-ნელა, მაგრამ სწორი გზით მივდივართ. საზოგადოება უნდა მიხვდეს, რომ ყველაფერს ჰყავს ავტორი და მისი უფლება დაცული უნდა იყოს. კონკრეტულად ამ შეთანხმების საფუძველზე კი სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი, კომპოზიტორი თუ ლიბრეტოს ავტორი მიიღებს დაწესებულ ჰონორარს, რაც დღემდე არ ხდებოდა. ეს ჰონორარები გადმოირიცხება ჩვენს ასოციაციაში, რომელიც ასოციაციის მეშვეობით გაუნაწილდებათ ავტორებს. ეს ყველაფერი საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ხელოვანებზე ვრცელდება, – აღნიშნა გიგა კობალაძემ.

# ეთერ კაკულია იუბილარია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

**ეთერ კაკულია, მომღერალი:**

– ყველაფერმა ძალიან მაღალ დონეზე ჩაიარა. რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა და ყველაფრით უზომოდ კმაყოფილი ვარ.

***– ეს თქვენი ინიციატივა იყო?***

– არა, ყველაფერი მეგობრებმა გამიკეთეს. ღმერთმა ყველას უმრავლოს ასეთი მეგობრები, არაჩვეულებრივები არიან. კმაყოფილება კი არა, აღფრთოვანება ჰქვია მაგას. „შერატონ მეტეხი პალასში“ სტუდია „ინკოგნიტომ“ და მისმა ხელმძღვანელმა მანანა გაბრიჭიძემ გამიკეთა არაჩვეულებრივი შეხვედრა. წამყვანი ნუგზარ რუხაძე იყო. ვერ აგიწერთ, იმდენად ამაღლებული საღამო გამოვიდა. ამ სტუდიამ 40 წუთიანი ფილმი გააკეთა ჩემზე, რომელიც შერატონში აჩვენეს. გამომსვლელი იყო ბევრი. მერე უკვე რესტორან კრწანისში გადავინაცვლეთ, სადაც ძალიან ბევრი სტუმარი მოვიდა. უკვე ველარ გაიგეს რამდენი წლის ვარ.

***– რამდენი წლის ხართ?***

– 33-ის ახლა გავხდი. კიდევ კარგი დავიმახსოვრე ეს 33, თორემ უკვე მეც აღარ მახსოვს, რამდენი წლის ვარ. ჩემს დაბადების დღეზე, როგორც ყოველთვის, გივი სიხარულიძე იყო თამადა, იმდენი სტუმარი იყო, 80 კაცი მაინც იჯდა.

***– ერთი ქორწილის ხალხი კი ყოფილხართ.***

– ბარემ დავქორწინებულიყავი, მაგრამ რაღა დროსია, თუმცა ჯინა ლოლობრიჯიდა 80 წლის გათხოვდა. თვითონ რესტორანმა ისეთი სიურპრიზები მომიმზადა, გაოცებული დავრჩი – ზემოდან 150 ბუშტი ჩამოყარა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ 150 წლის ვარ. ჯერ მაქამდე შორია, 102 წლამდე მინდა გავქაჩო.

***– გიყვართ იუბილეები?***

– ვგიჟდები, ისე მიყვარს. დამესივნენ ტელევიზიები, თუკი ვინმე არსებობს, ყველა იყო და ყველას ვუთხარი, 102 წელი მინდა ვიცოცხლო და ძალიან გთხოვთ, ჩემთან ერთად იყავით-მეთქი. ხომ კარგია? ჩემთან ერთად რომ იქნებიან, ისინიც ხომ გახანგრძლივებული სიცოცხლით იცხოვრებენ? მთავარი ის არის, რომ 29 ნოემბერს ვარ დაბადებული და განუსაზღვრელი ასაკი მაქვს. ყველაზე ძალიან მიყვარს ჩემი დაბადების დღე.

***– წლები რომ გემატებათ?***

– წლები უნდა მოგემატოს, აბა, როგორ? ეს აუცილებელია. ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვს. ჩემს ასაკში რომ ასე ვკუნტრუშობდი, ამასაც თავისი ხიბლი აქვს.

***– რიცხვი 33 რატომ ამოირჩიეთ?***

– მიყვარს ეს რიცხვი, თან ქრისტეს ასაკია და წლები არ მემატება, თანაც დიდი ხანია.

***– შემოქმედებითი სიახლეები არ გაქვთ?***

– რა თქმა უნდა. ახალ სიმღერებს ვაკეთებ, მაგრამ ჩემი ნაღდი მრგვალი იუბილე 2012 წელს იქნება. მართლა მინდა ისეთი რამ გავაკეთო, რომ მთელ საზოგადოებას დაამახსოვრდეს. ახალგაზრდებზე ვგიჟდები. ყოველდღე თინეიჯერები მირეკავენ, რომ მათ კონცერტებზე წავიდე და უარს არავის ვეუბნები.

***– ეს გენერალური რეპეტიცია იყო?***

– კი, რა თქმა უნდა. ყველაფერი წინ მაქვს.

***– ერთადერთმა შვილმა როგორ მოგილოცათ იუბილე?***

– ფილმი რომ გააკეთეს, იქ ალიკუნა ორი სიტყვით ამბობს, ჩემნაირი მაგარი დედა არავის არ ჰყავსო. ამით ყველაფერია ნათქვამი.

***– ფილმი ვინ გააკეთა?***

– სტუდია „ინკოგნიტომ“. მართლა კარგი გამოვიდა ყველაფერი. მათთან ერთად ჩავწერე ჰიმნი, რომელიც ამ სტუდიის ჰიმნია, ახალგაზრდობა რომ მოდის, ჩვენ მეგობრები ვართ. ამ სტუდიაში მაქსიმალური ასაკი 17 წელია. კარგი სიმღერა გამოვიდა ძალიან. იუბილეზე „შერატონში“ ცოცხლადაც ვიმღერე როიალთან უმიკროფონოდ. ჩემი ხმა ისე ჟღერს, თვითონ ვარ გაოცებული. ჩემს თავს ვეუბნები ხოლმე, ეთერ, რა მაგარი ხარ-მეთქი.


# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



# განცხადებები

- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# მორიგი კატალონიური რეკორდი და ფრანგული ექვეები

## ჩელსი-ვალენსია 3:0

**1: 0 დროგბა (3), 2: 0 რამირესი (22), 3: 0 დროგბა (76)**

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, ტერი, ლუისი, კოული, რამირესი (მიკელი 65), რომეუ, მეირელეში, სტარიჯი, დროგბა (ტორესი 77), მატა (მალუდა 83)

**ვალენსია:** დ.ალვეში, ბარაგანი, რამი, რუისი, ალბა (ადურისი 54), ფეგული (ერნანდესი 65), კოსტა (პარეხო 77), ალბელდა, მეტიე, ჟონასი, სოლდადო

„სტემფორდ ბრიჯზე“ გამართული მატჩი სანახაობრივი გამოდგა. მასპინძლები თავიდანვე შეეცადნენ მათთვის კომფორტული სიტუაცია შეექმნათ და უკვე მე-3 წუთზე ანგარიში დიდიე დროგბამ ხუან მატას პასის შემდეგ გახსნა.

ამის მიუხედავად, „ვალენსიასთვის“ ბევრი არაფერი შეცვლილა, რადგან გოლის გატანა აუცილებლად მართებდათ და მეტოქის კარისკენ გაიწიეს. ესპანელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტიც კი შექმნეს, მაგრამ ბურთი ისევ საკუთარ კარში მიიღეს.

22-ე წუთზე, ვიქტორ რუისის შეცდომით მეკარესთან პირისპირ გასულმა რამირესმა ზუსტად დაარტყა და „ვალენსია“ უკვე რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. დარჩენილ დროში, ესპანელები ბურთს აკონტროლებდნენ, მაგრამ „ჩელსიმ“ დაცვაში დიდებულად ითამაშა და მეტოქეს იოტისოდენა შანსი არ დაუტოვა.

წერტილი შეხვედრას 76-ე წუთზე დაესვა, როდესაც მატამ მეორე გაატანია დროგბას.

## გენკი-ლევერკუზენი 1:1

**1: 0 ვოსენი (30), 1: 1 დერდიუკი (79)**

**გენკი:** კოტელესი, ვანდენ ბორე, სიმაიესი, ნადსონი, პუდილი, კამუსი, ნგკონგკა, ტოცერი, ნდაბაშინზე, ლიმბომბე (ბუფელი 75), ვოსენი (ბარდა 81)

**ლევერკუზენი:** ლენო, კასტრო, რაინარტცი (იორგენსენი 87), შვააბი, კადლეცი (ოსზიპკა 73), ბენდერი, როლფესი, შიურლე (კისლინგი 68), ბალაკი, სემი, დერდიუკი

„ლევერკუზენმა“ აუტსაიდერ „გენკთან“ არამარტო ქულები, არამედ პირველი ადგილიც დაკარგა. ანგარიში 30-ე წუთზე ვოსენმა გახსნა, რომელსაც მატჩის დასრულებამდე 11 წუთით ადრე დერდიუკმა უპასუხა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:4 | 11 |
| 2.ლევერკუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 10 |
| 3.ვალენსია | 6 | 2 | 2 | 2 | 12:7 | 8 |
| 4.გენკი | 6 | 0 | 3 | 3 | 2:16 | 3 |

## ოლიმპიაკოსი-არსენალი 3:1

**1: 0 ჯებური (16), 2: 0 ფუსტერი (36), 2: 1 ბენაიუნი (57), 3: 1 მოდესტო (89)**

**ოლიმპიაკოსი:** მეგიერი, ტოროსიდისი, პაპადოპულოსი, მელბერგი, მარკანო, მანიატისი, ფუსტერი (აბდუნი 64), მოდესტო, მირალასი, ჰოლებასი (ორბაისი 37), ჯებური (პაპაცოღლუ 90)

**არსენალი:** ფაბიანსკი (მანონე 25), ჯურუ, ვერმაელენი, სკილაჩი, სანტოსი (მიკელი 51), კოკელინი (როსიცკი 67), ფრიმპონგი, ბენაიუნი, ჩემბერლენი, შამახი, არშავინი

უმოტივაციო „არსენალს“ საბერძნეთში გასეირნება უწევდა, ამიტომ თავი დიდად არ მოუკლავს. მასპინძლებს კი მხოლოდ გამარჯვება აწყობდათ და ამასთან პარალელურ მატჩში „დორტმუნდს“ არ უნდა წაეგო. „ოლიმპიაკოსმა“ თავისი საქმე კი გააკეთა, მაგრამ გერმანელებმა დაალალატეს და მხოლოდ ევროპის ლიგაზე გადართვა მოუწევთ.

ანგარიში ჯებურმა გხსნა, ხოლო 36-ე წუთზე ფუსტერმა მასპინძელთა უპირატესობა კომფორტული გახადა. ამ დროისთვის გერმანიაში ბერძენთათვის სასურველი ანგარიში ფიქსირდებოდა და გულშემატკივარი მაშინ აღელდა, როდესაც ბენაიუნმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

მატჩის 89-ე წუთზე მოდესტო სტატუსკვო აღადგინა და მთელი საბერძნეთის ყურადღება გერმანიაში გადაინაცვლა. იქ ჯერ კიდევ „ოლიმპიაკოსის“ სასურველი ანგარიში ფიქსირდებოდა, თუმცა...

## დორტმუნდი-მარსელი 2:3

**1: 0 ბლაშჩიკოვსკი (23), 2: 0 ჰუმელსი (32პ), 2: 1 რემი (45), 2: 2 ა. აიუ (85), 2: 3 ვალბუენა (87)**

**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, პიშჩეკი, სანტანა, ჰუმელსი, ლოვე, კელი (და სილვა 33), გიუნდოგანი, ბლაშჩიკოვსკი, ლევანდოვსკი, გიოტცე (პერისიჩი 46), ბარიოსი (კაგავა 63)

**მარსელი:** მანდანდა, ასპილიკუეტა, ნ'კულუ, დიავარა, ტრაორე, მ'ბია (შეირუ 46), დიარა, ამალფიტანო, ლუჩო გონსალესი (ჯ. აიუ 67), ა. აიუ, რემი (ვალბუენა 73)

მატჩი ძალიან დრამატული გამოდგა. ფრანგული კლუბი 32-ე წუთზე 0:2 მარცხდებოდა და თამაშის მიმდინარეობის გათვალისწინებით, დეშამის შეგირდებს ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არ ჰქონდათ, მაგრამ პირველი ტაიმის მე-3 დამატებულ წუთზე რემის მიერ გატანილმა გოლმა ბევრი რამ შეცვალა. ამასობაში ცნობილი გახდა, რომ „ოლიმპიაკოსი“ 2:0 იგებდა და თუ მატჩი ასე დასრულდებოდა, გერმანელებისთვის ამ მატჩის შედეგს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. არავინ იცის რა მოხდა შესვენებაზე, მაგრამ შესაძლოა, ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მე-2 ტაიმში უპირატესობას უკვე „მარსელი“ ფლობდა.

ფრანგებმა კი სასურველ შედეგს მაინც მატჩის ბოლოს მიაღწიეს – 85-ე წუთზე, თავური დარტყმით აიუმ გაიტანა, ხოლო ორ წუთში, ვალბუენამ „მარსელს“ ფლეი ოფის საგზური მოუტანა. თუმცა, მათი ეს წარმატება ეჭვქვეშ კი დგას.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:6 | 11 |
| 2.მარსელი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 10 |
| 3.ოლიმპიაკოსი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:6 | 9 |
| 4.დორტმუნდი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | 4 |

## პორტუ-ზენიტი 0:0

**პორტუ:** ჰელტონი, მაიკონი, როლანდო, ოტამენდი (ბელუსკი 83), პერეირა, დეფუ (კლებერი 46), ფერნანდო, მოუტინიო, ჯალმა (ვარელა 68), ჰალკი, როდრიგესი

**ზენიტი:** მალაფეევი, ანიუკოვი, ლომბაერტსი, ჰუბოკანი, კრიშიტო, დენისოვი, სემაკი, შიროკოვი (ზირიანოვი 46), ფაიზულინი (ბისტროვი 57), ლაზოვიჩი (ალვეში 82), დანი

ამ ჯგუფში ფლეი ოფის მე-2 საგზური „ზენიტმა“ მოიპოვა. „დრაგაოზე“ გამართულ მატჩში მასპინძლებს ხელთ მხოლოდ გამარჯვება აწყობდათ. პორტუგალიელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ დიდ უპირატესობას, მაგრამ მისი გოლად ქცევა ვერ მოახერხეს და ჩემპიონთა ლიგას ჯგუფური ეტაპიდან დაემშვიდობნენ.

## აპოელი-შახტარი 0:2

**0: 1 ადრიანო (62), 0: 2 სელეზნოვი (78)**

**აპოელი:** პარდო, პურსაიტიდისი, პაულუ ჟორჟე, ოლივეირა, მანდუკა (სოლარი 68), მორაიში, იაჰიჩი, შარალამბიდისი (აროდნო 77), მარსინიო (ბელაიდი 60), ალექსანდრუ, ტრიკოვსკი

**შახტარი:** რიბკა, სრნა, კუჩერი, რაკიცკი, შევჩუკი, დუგლასი (ედუარდო 78), ფერნანდინიო, ჰუბშმანი, ვილიანი (მორენო მარტინსი 84), მხითარიანი, ადრიანო (სელეზნოვი 73)

ორი უმოტივაციო გუნდების მატჩი პირველად წააგო „აპოელმა“, ხოლო „შახტარმა“ პირველად იმარჯვა. დონეცკელთაგან გოლები ადრიანომ და სელეზნიოვმა გაიტანეს, თუმცა ამით „აპოელის“ სენსაციურ შედეგს ვერაფერი დააკლეს.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აპოელი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:6 | 9 |
| 2.ზენიტი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:5 | 9 |
| 3.პორტუ | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| 4.შახტარი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |

## ბარსელონა-ბატე 4:0

**1: 0 რობერტო (35), 2: 0 მონტოია (60), 3: 0 პედრო (63), 4: 0 პედრო (89პ)**

**ბარსელონა:** პინტო, მონტოია, ბარტრა, ფონტასი, მაქსველი, ტიაგო, ჯონათანი (მუნიესა 58), რობერტო (რივეროლა 79), რაფინია (დეულოფეუ 70), პედრო, კუენკა

**ბატე:** გუტორი, იურევიჩი, ფილიპენკო, სიმიჩი, ბორდაჩოვი, ვოლოდკო, პავლოვი (გორდეიჩუკი 64), ლიხტაროვიჩი (ოლეხნოვიჩი 67), ბაგა, რენანი (კეჟმანი 77), კონცევოი

„ბარსელონამ“ კიდევ ორი რეკორდი მიითვალა, რომელიც ევროთასების მატჩებში გოლების სერიას ეხება.

ბატე-ს კარში პირველი გოლის გასვლის შემდეგ გაირკვა, რომ „ბარსელონა“ ზედიზედ 28-ე შეხვედრაში გაჰქონდა ბურთი და ამ კუთხით რეკორდსმენი გახდებოდა. გარდა ამისა, აქამდე არავის გაუტანია ჯგუფური ტურნირის მატჩებში 20 გოლი – სწორედ ამდენი მოუგროვდა კატალონიურ გრანდს წლევანდელ გათამაშებაში.

აღსანიშნავია, რომ „ბარსელონამ“ ბატე-ს „ნოუ კამპზე“ პრაქტიკულად ახალგაზრდული გუნდით უმასპინძლა და მიუხედავად ამისა, 4:0 იმარჯვა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა როგორც შედეგით, ასევე რეზერვისტების თამაშით კმაყოფილი დარჩა.

– მატჩამდე ბიჭებს მოვუწოდე, რომ მოედანზე გასულიყვნენ და თამაშისგან სიამოვნება მიეღოთ. მათ მომისმინეს და დიდებულად ითამაშეს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ეს ბიჭები საქმეში ამ დონეზე გვეხილა. მათ თავიანთი შესაძლებლობები დაგვანახეს და ახლა ნებისმიერ შემთხვევაში შეგვიძლია მათი ნდობა, – განაცხადა გვარდიოლამ.

## პლზენი-მილანი 2:2

**0: 1 პატო (47), 0: 2 რობინიო (47), 1: 2 ბისტრონი (89), 2: 2 დურიში (90)**

**პლზენი:** ჩეხი, რაიტორალი, ბისტრონი, სისოვსკი, ლიმბერსკი, იარაჩეკი (დარიდა 28), ჰორვატი, პეტრჟელა, კოლარი (დურიში 67), პილარი (ჰორა 84), ბაკოში

**მილანი:** ამელია, დე შილიო, მექსე, ბონერა, ტაივო (ძამბროტა 90), ემანუელსონი, ამბროზინი, ნოჩერინო (ტიაგო სილვა 40), ზეედორფი, პატო, რობინიო (კრისტანტე 81)

„მილანისთვის“ ამ მატჩს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ხოლო მასპინძლებს ფრეც აწყობდათ. თუმცა, მას შემდეგ რაც ბატე კატალონიაში ნადგურდებოდა, მათთვისაც აზრი დაეკარგა.

თავდაპირველად „მილანი“ ორი ბურთით დაწინაურდა და უნდა აღინიშნოს რომ ორივე გოლი ერთ წუთში გაიტანა. ჯერ პატომ იხეირა რობინიოს პასით, შემდეგ კი ფეხბურთელებმა როლები გაცვალეს.

2 წუთში გაიტანა 2 ბურთი „პლზენმაც“ და ბისტრონმა და დიურიშმა თავის გუნდს საპატიო ქულა მოუტანეს.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 0 | 20:4 | 16 |
| 2.მილანი | 6 | 2 | 3 | 1 | 11:8 | 9 |
| 3.პლზენი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:11 | 5 |
| 4.ბატე | 6 | 0 | 2 | 4 | 2:14 | 2 |

# „არმია“ შანსს გერმანიაში და ჰოლანდიაში ელოდება

## არმია – ბეშიქთაში 75:77

**(20: 21, 17: 18, 19: 11, 19: 27)**

**არმია:** კ.ჰოუკინსი, ბოისა (5), რიჩარდსონი (15), ტომასი(15ქ,8მ), შელბომი (17ქ,13მ); ვუდსაიდი (13ქ,7პ), საყვარელიძე (2), ფრეიე (8)

**ბეშიქთაში:** აკინი (4), ჩეტინი (16), ერცეგი (12), დ.ჰოუკინსი(17), დაგლი (18ქ,13მ); იაგმური (7ქ,8პ), ერშეკი (3), ორენი



ევროჩელენჯის ბ ჯგუფის მეორე წრის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, საქართველოს ჩემპიონ „არმიას“ კარგი შანსი ჰქონდა მომდევნო ეტაპის საგზური ვადაზე ადრე, თბილისში მოეპოვებინა, მაგრამ დასანანი მარცხი იწვნია.

კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა „არმიამ“ სპორტის სასახლეში თურქულ „ბეშიქთშს“ უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 2 ქულის სხვაობით – 75:77 დამარცხდა. ქართული კლუბი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდა, არმიელთა უპირატესობამ რიგ მომენტებში 8 ქულასაც კი მიაღწია. თამაშის დასრულებამდე ორიოდ წუთით ადრე ქართული კლუბი 5 ქულით იგებდა, თუმცა სტუმართა ზუსტი თამაშის წყალობით „ბეშიქთაშმა“ წარმატებას მიაღწია. თუმცა არმიელები ჯგუფიდან გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებენ. გამორიცხული არაა, მეორე ეტაპის საგზური გუშინვე მოეპოვებიათ. საქმე ის არის რომ გვიან დასრულდა ჯგუფის კიდევ ერთი მატჩი „გიოტიგენსა“ და „ლეიდენს“ შორის, რომლის ანგარიში ჩვენთვის ჯერ უცნობი იყო. თუ „გოტინგენი“ მოიგებდა, „არმია“ უკვე მეორე ეტაპზე იქნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი 13 დეკემბერს ჰოლანდიაში გადაწყდება, როდესაც „არმია“ „ლეიდენს ესტუმრება.

ახლა თბილისურ მატჩს დავუბრუნდეთ: მართალია, თურქულ კლუბს მომდევრო ეტაპის საგზური უკვე მოპოვებული ჰქონდა და ორი წამყვანი კალათბურთელის გარეშე იყო თბილისში ჩამოსული, მაგრამ მაინც ბოლომდე იბრძოლა და მეტოქეს არაფერი დაუთმო. განსაკუთრებით დაგლი, დავიდ ჰოუკინსი, ჩეტინი და ერცეგი გამოირჩეოდნენ. ამ კალათბურთელებმა თითქმის შეუცვლელად ითამაშეს და სტუმართა გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანეს.

თურქულ კლუბს ორი ლიდერი, დერონ უილიამსი და სემის ერდენი არ ჰყავდათ, რომლებიც ლოკაუტის დასრულების შემდეგ ნბა-ს დაუბრუნდნენ. ამავე მიზეზით „არმიამ“ სანდიეტა გეინსი მოისაკლისა, ხოლო პუერტო-რიკოელი ლეგიონერი გილერმო დიასი კი ტრავმის გამო არ თამაშობდა. არმიელებს ეს დანაკლისი რომ შეევსოთ, სასწრაფოდ სამი ლეგიონერი, კლიფტონ ჰოუკინსი, მეთიუ ფრეიე და ბენჟამენ ვუდსაიდი დაიმატეს. ამ უკანასკნელმა გუნდთან ერთად მხოლოდ ორი ვარჯიშის ჩატარება მოასწრო. ამის მიუხედავად, გამთამაშებელმა ვუდსაიდმა ახალწვეულებს შორის ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ძველებს რაც შეეხებათ, ისე ძლიერად ჩაატარეს მატჩი რიჩარდსონმა, ტომასმა და შელბომმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შვედი კალათბურთელის კარგი თამაში, რომელმაც „არმიაში“ მისვლის შემდეგ თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, 17 ქულითა და 13 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა და თანაგუნდელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს – 2:0 და ამის შემდეგ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ანგარიში ქულა-ქულაში მიდიოდა. ოდნავ უფრო ზუსტნი კი „ბეშიქთაშის“ კალათბურთელები იყვნენ და პირველი ტაიმი სტუმრებმა ორი ქულის სხვაობით მოიგეს – 39:37.

მეორე ტაიმში მასპინძლები უფრო გააქტიურდნენ. იყო მომენტი, როცა „არმია“ 8 ქულით იგებდა – 51:43. ხოლო დასკვნით მეოთხედს კოტე ტუღუშის შეგირდები 6-ქულიანი ჰანდიკაპით შეხვდნენ – 56:50.

დასკვნით მეოთხედშიც ანგარიში მუდამ მასპინძლებს მიჰყავდათ. ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წუთით ადრე „არმია“ 5 ქულით იგებდა – 69:64, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო.

ბოლო წამებზე დრამა გათამაშდა, რომელიც სტუმართათვის სასიკეთოდ დასრულდა. საფინალო სირენამდე 9 წამით ადრე ჯერემი რიჩარდსონმა ანგარიში გაათანაბრა – 75:75. საპასუხო შეტევაში ბეშიქთაშის კალათბურთელებმა ბურთი გაათამაშეს და დასრულებამდე 1,3 წამით ადრე დევიდ ჰოუკინსმა თურქული კლუბი 77:75 დააწინაურა. მატჩის გადასარჩენად, მინიმუმ ოვერტაიმში გადასაყვანად „არმიას“ 1,3 მეათედი წამი ჰქონდა დარჩენილი. ტუღუშმა წუთშესვენება აიღო და კალათბურთელებს მითითებები მისცა. მართალია, ფრეიემ სამქულიანის სროლა მოასწრო, მაგრამ ბურთი კალათში არ ჩავარდა და არაფრის მომტანი გამარჯვება სტუმრებს დარჩათ.

**ერგინ ატამანი, ბეშიქთაშის მწვრთნელი:**

– დღევანდელი თამაში ჩვენთვის ძალიან სასურველი შედეგით დასრულდა. თბილისში ორი წამყვანი მოთამაშის გარეშე ჩამოვედით, ამიტომ ვფიქრობდი, რომ 7-10 ქულით წავაგებდით. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის, მოგება სიურპრიზი იყო.

**კოტე ტუღუში, არმიას მწვრთნელი:**

– საკმაოდ დაძაბული შეხვედრა გამოდგა. მოგების შანსი გვქონდა, თუმცა ბიჭებს წაგებაში არ ვადანაშაულებ, რადგან ბოლომდე იბრძოლეს. ახლა უმთავრესი, ჰოლანდიის „ლეიდენის“ დამარცხება და მომდევნო ეტაპის საგზურის მოპოვებაა“.

**ბენ ვუდსაიდი:**

– კარგი ატმოსფერო სუფევდა, რის გამოც, ძალიან სანახაობრივი მატჩი გამოვიდა. „არმიაში“ კარგი სიტუაციაა და იმედია, ეს გარემოება მომავალში წარმატებას მოგვიტანს.

**ანატოლი ბოისა:**

– დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. თუმცა ჯერ კიდევ გვაქვს შანსი და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მომავალ სამშაბათს, შემდეგ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოვიპოვოთ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბეშიქთაში | 5 | 5 | 0 | 447:378 | 10 |
| 2.არმია | 5 | 3 | 2 | 382:388 | 8 |
| 3.ლეიდენი | 4 | 1 | 3 | 278:307 | 5 |
| 4.გოტინგენი | 4 | 0 | 4 | 302:336 | 4 |

**ბოლო ტური:**

**13 დეკემბერი:** გოტინგენი-ბეშიქთაში; ლეიდენი-არმია.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ჩელსი-ვალენსია ... 3:0
გენკი-ლევერკუზენი ... 1:1
დორტმუნდი-მარსელი ... 2:3
ოლიმპიაკოსი-არსენალი ... 3:1
პორტუ-ზენიტი ... 0:0
აპოელი-შახტარი ... 0:2
ბარსელონა-ბატე ... 4:0
პლზენი-მილანი ... 2:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-კრ.პალასი ... 2:1

**არგენტინა. აპერტურა**

ოლ ბოიზი-არხენტინოსი ... 1:0
ოლიმპო-ესტუდიანტესი ... 0:0
რასინგი-რაფაელა ... 1:0
უნიონი-ლანუსი ... 0:1

**კალათბურთი**

**ევროჩელენჯი**

ენისეი-შალონი ... 79:80
არმია-ბეშიქთაში ... 75:77
ტრიუმფი-ენკომი ... 60:68
ხიმიკი-ნ.ნოვგოროდი ... 78:87
მინსკი-პინარი ... 70:79
ატომერომუ-ვენტსპილსი ... 78:79
გოვერლა-როანი ... 63:70
მობიტელკო-ანტვერპენი ... 72:74
ნიტრა-ნორჩიოპინგი ... 108:78
ტურკ ტელეკომი-ბონი ... 81:94
კერავნოსი-პო ორტეზი ... 67:70
შოლნოკი-ერტლანდი ... 90:85
ფუელაბრანდა-ოლდენბურგი ... 77:83

**ხელბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**ქალები**

ტუნისი-კუბა ... 32:29
ჩერნოგორია-ანგოლა ... 28:26
შვედეთი-ურუგვაი ... 31:14
რუსეთი-ავსტრალია ... 45:8
ნორვეგია-ისლანდია ... 27:14
რუმინეთი-იაპონია ... 28:28
დანია-ხორვატია ... 23:19
ჰოლანდია-ყაზახეთი ... 32:20
გერმანია-ჩინეთი ... 23:22
საფრანგეთი-ბრაზილია ... 22:26
არგენტინა-კოტ დივუარი ... 19:25
ესპანეთი-კორეა ... 29:26

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

აილენდერსი-ტამპა ბეი ... 5:1
ტორონტო-ნიუ ჯერსი ... 2:3(ოტ)
მონრეალი-კოლამბუსი ... 2:2(0:1ბ)
სენტ ლუისი-დეტროიტი ... 3:2
ნეშვილი-ფინიქსი ... 2:3
ვინიპეგი-ბოსტონი ... 2:1
კალგარი-კაროლინა ... 7:6
ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი ... 3:2
ვანკუვერი-კოლორადო ... 6:0
სან ხოსე-მინესოტა ... 1:2

# ვეტერანების ერთადერთი ჰოსპიტალი გაუქმების პირასაა

გერა მამულაშვილი

ომის ვეტერანებისთვის შეღავათების გაუქმების შემდეგ, მათი ჰოსპიტალიც დახურვის პირას აღმოჩნდა. ხელისუფლებას საავადმყოფოს თანამედროვე სამედიცინო აპარატურით გადაიარაღებისთვის ერთი თეთრიც არ გაუღია. „წარმატებებზე“ მთავრობის დაუსრულებელი ბაქიბუქი იმწამსვე მთავრდება, როდესაც ვეტერანთა ჰოსპიტალის ზღრუბლს გადავლახავთ.



ასოციაცია „ვეტერანები ვეტერანებისთვის“ ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ საავადმყოფოების შენობებით ვაჭრობას თავი დაანებოს და 2012 წლის ბიუჯეტში ჰოსპიტალის გადაიარაღებისთვის თანხები გამოყოს:

ეს კვერცხებისა და ველოსიპედების ძეგლებზე, ჩვენ მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხების ფლანგვის სანაცვლოდ უნდა გაკეთდეს. რათა ომის ვეტერანებს გადარჩენისთვის ერთადერთი კერა შუანარჩუნდეთ“.

ასოციაცია „ვეტერანები ვეტერანებისთვის“ წარმომადგენელ **გალინა ოზიაშვილს** ვესაუბრებით:

– ვეტერანთა ერთადერთი სამკურნალო დაწესებულება დახურვის პირასაა. არადა, ის გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებს და არა გაუქმებას.

დამსახურებულ ადამიანებს საქართველოში პატრონი არ ჰყავთ. 1995 წლის 17 ოქტომბრის კანონის მოთხოვნები მთლიანად უგულებელყოფილია. ვეტერანების 80-მდე შეღავათი გაუქმებულია. მხოლოდ ჰაერში გამოკიდებული, 22-ლარიანი შემწეობა არის დარჩენილი.

ამას პლუს, ხელისუფლებამ ვეტერანების პრობლემა სიღარიბის ზღვარის პროგრამას მიაბა, რაც ყოვლად დაუშვებელია. სიღარიბის პროგრამა ხელისუფლების დროებითი ზომაა, ვეტერანი კი უმძიმესი პრობლემების წინაშე რჩება. მისი სტატუსი სრულყოფილად უნდა აღდგეს.

***– იქნებ გაგვარკვიოთ, რა ხდება კონკრეტულად ვეტერანთა ჰოსპიტალის გარშემო?***

– ჯანდაცვის სამინისტროდან ჰოსპიტალის ხელმძღვანელობას უკვე შეატყობინეს, რომ 2000 წლამდე გამოშვებული აპარატურა სტანდარტებს არ აკმაყოფილებს და ამ მიზეზით საავადმყოფო შეიძლება დაიხუროს. ასეთი ორაზროვანი სიტუაციაა და ჩვენ ვიცით, საით მიდის ეს პროცესი.

***– ვინ აპირებს აპარატურის განახლებას, რემონტის ჩატარებას. ეს გახდება მიზეზი იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს შენობა ხელში ჩაიგდონ; მეტი არც არაფერი აინტერესებთ.***

– შარშან, 23 დეკემბერს ჰოსპიტალის დილომში, რკინიგზის მეორე საავადმყოფოში გადატანაზე იყო საუბარი. ამისთვის მთლიანად სართული გარემონტებული იყო და ვეტერანებს იქ გადაყვანით ატყუებდნენ. ცოტა ხანში კარგად გაკეთებული შენობა გაიყიდა. თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელიაო და ამ პროცესში ვეტერანთა ეს ჰოსპიტალიც გადარჩა.

***– დღეს რა მდგომარეობაშია დაწესებულება?***

– საშინელ მდგომარეობაშია; აბა, ამაზე სხვა რა შეიძლება ითქვას? ძალიან გთხოვთ, შეხედეთ აქაურ აღჭურვილობას. ელემენტარულად შუშების ჩასმას დიდი რესურსი ხომ არ სჭირდება? დენის პლიტაზე აგური იდოს და ავადმყოფი კაცი ამაზე თბებოდეს, სად გაგონილა? ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს?

ხელისუფლების ყველაზე დიდი და ამორალური დანაშაული კი ის არის, რომ ვეტერანები, როგორც კატეგორია გაუქმებულია და სიღარიბის ზღვარის პროგრამას ხელოვნურად მიერთებულია.

***– ვინ არის პასუხისმგებელი იმ სავალალო მდგომარეობაზე, რაც ვეტერანთა ჰოსპიტალშია?***

– რა თქმა უნდა, ჯანდაცვის სამინისტრო, რომელზეც სამედიცინო კუთხით მიბმულია. არის ასევე ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც მაპატიეთ და „მკვდარზე ვენოკია“. მხოლოდ და მხოლოდ საკანცელარიო დაწესებულებაა. შეგიძლია მიხვიდე და დაგიწერენ ცნობას, რომ ვეტერანი ხარ, მეტი არაფერი. იურიდიული სამსახური ვეტერანის ყველა უფლებას უნდა იცავდეს, არაფერს აკეთებენ.

***– მიმართეთ თუ არა ამ პრობლემებზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს და რა პასუხები მიიღეთ?***

– პირველ იანვრამდე პატარა დრო რჩება და უკანდახევას არ ვაპირებთ. არ არსებობს თუნდაც ჭორად ნათქვამი, რომ ამ ქალაქში არ გამართლდეს. როგორც გითხარით, საუბარია ავადმყოფი ვეტერანების ქუჩაში გაშვებაზე. ამიტომ განგაშის ზარი შემოვკარით.

ნატოს თბილისურ წარმომადგენლობაში ვიყავით. დევნილებთან ერთად მივედით და ეს პრობლემა დავაყენეთ. მჭიდრო თანამშრომლობაზე შევთანხმდით. პროცესზე გარედან დაკვირვებას და ყოველდღიურ ბრძოლას ჩვენს თავზე ვიღებთ. ოღონდ ეს მათთან შეთანხმებით და მეთვალყურეობის ქვეშ მოხდება.

ამ დღეებში ასევე აშშ-ს საელჩოში ვიყავით, სადაც ჯონ ბასის სახელზე წერილი გადავეცით. ნომერ პირველი მოთხოვნა, ჰოსპიტალის გადარჩენაა. მარჩიელობის იმედად ვერ დავრჩებით და ბრძოლას არ შევწყვეტთ.

თუნდაც ახლა, აქ რასაც ვხედავთ, ყოვლად მოუთმენელი მდგომარეობაა. შენობა გადაუდებელ რემონტს და დღევანდელი სტანდარტებიდან გამომდინარე

აღჭურვას საჭიროებს. ეტაპობრივად უნდა გაკეთდეს. ვთქვათ, ნახევარი სტაციონარისთვის გარემონტდეს და მეორე ნახევარს, სარეაბილიტაციო ცენტრს მერე მიხედონ. სათანადო საშუალებებს მოვიზიდავთ, რომ აქვე რეაბილიტაციის ცენტრიც იყოს.

***– რამდენად გაქვთ ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური დამოკიდებულების იმედი?***

– ნამდვილად არ გვაქვს და ამაზე ვერ მოგატყუებთ. ამიტომ სამართლიან ბრძოლაში აბსოლუტურად ყველას ჩავრთავთ. მიზანი ერთია – სამშობლოსთვის შეწირული ადამიანებისთვის სამკურნალო დაწესებულების შენარჩუნებაა.

კიდევ ერთი მომენტი მინდა აღვნიშნო. ვეტერანები ძალიან მძიმე კონტინგენტია. ომის სინდრომიდან გამოსულები არ არიან. ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია არასოდეს ჰქონიათ, ასეთი სამსახური უბრალოდ არ არსებობს.

დიდი ბოდიში, მაგრამ ძალიან ბევრი ჭიქამ შეიწირა. ბევრი გაგიჟდა, იყო თვითმკვლელობებიც. მაგრამ ხელისუფლებას ამ სტატისტიკის წარმოჩენა საერთოდ არ აწყობს.

ამ ფონზე, აქაურ ხელფასებზეც გეტყვით. სანიტარის ხელფასი 70 ლარია, რომელზეც მთელი ეს ტექნიკური მხარე გადადის. ექთანი 100 ლარს იღებს, ექიმი – 140 ლარს. კვალიფიცირებული, ომგამოვლილი ექიმები არიან. ისინი ღვთის ანაბრად მუშაობენ.

არა აღჭურვილობა, არა ტექნიკური საშუალებები, წამლები სახლებიდან მოაქვთ; ეს რეალობაა, ზღაპარი არ არის. მომსახურე პერსონალი ამ ხალხს ეფერება და არსებულ სიტუაციას ზურგით მიათრევენ.

ხელისუფლებას კი ვეტერანების ატანა არ აქვს. პრობლემა ზუსტად ამაშია, რადგან ვეტერანები საზოგადოების ყველაზე საშიში და ფეთქებადი ფენაა.

# პროსტიტუციას ორიგინალურად ებრძვიან

საფრანგეთის პარლამენტი პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მეთოდებს იხილავს. ეს მეთოდები სექსუალური მომსახურების მომხმარებლების დასჯას გულისხმობს.

ეროვნული ასამბლეა პარტიათაშორისი კომისიის მიერ განსახილველად გატანილ სიმბოლურ რეზოლუციას განიხილავს. ამ რეზოლუციის მიღების შემთხვევაში მომავალი წლის იანვარში ფრანგი დეპუტატები უკვე მეძავების მომსახურებით სარგებლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს განიხილავენ.

ანალოგიური კანონი 1999 წელს შვედეთში მიიღეს. ამ კანონით ისჯება სექსუალური მომსახურების მომხმარებელი, მაშინ, როდესაც კანონი თავად ქალების დასჯას არ ითვალისწინებს.



საფრანგეთის ეროვნული საბჭოს მიერ მისაღები რეზოლუცია ითვალისწინებს მეძავების კლიენტების დასჯას, ამასთან ნათქვამია, რომ პროსტიტუცია ევროპაში უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა.

ამასთან, აქტივისტების ერთი ნაწილი მეძავების უფლებების დაცვას ცდილობს და ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გამოდის.

სხვადასხვა ცნობების თანახმად, საფრანგეთში მეძავების რიცხვი 20 ათასს აღწევს.

მეძავების მომსახურებით სარგებლობისათვის პასუხისმგებლობის დაწესება ამ მოვლენის მასშტაბების შემცირების საუკეთესო საშუალებად არის მიჩნეული. რეზოლუციის ავტორები აღნიშნავენ, რომ მომავალში საფრანგეთის ხელისუფლები პროსტიტუციის წინააღმდეგ უფრო მკაცრ ზომებს მიიღებენ.

საფრანგეთში არსებული კანონმდებლობის თანახმად, ქვეყანა პროსტიტუციის აღმოფხვრას ცდილობს, თუმცა იგი დანაშაულად არ მიაჩნია. პროსტიტუციაში ჩართული ქალისა თუ მამაკაცის პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგში მხოლოდ საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევაში შეიძლება აღდგეს. გარდა ამისა, კლიენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯება, თუკი მეძავი არასრულწლოვანია.

საფრანგეთის სექსინდუსტრიის მუშაკთა პროფკავშირმა პარლამენტის შენობასთან საპროტესტო აქციების გამართვისაკენ მოუწოდა. პროფკავშირები მოითხოვენ, რომ კანონპროექტში ერთმანეთისაგან უნდა იქნას გამიჯნული ე.წ. „ნებაყოფლობითი“ და „იძულებითი“ პროსტიტუცია. გარდა ამისა, სექსინდუსტრიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მთავრობის მიერ დაგეგმილი ზომები სწორედ იძულებითი პროსტიტუციის ზრდას გამოიწვევს.

პროფკავშირები ხელისუფლებისაგან მეძავების ინტერესების დაცვას მოითხოვენ და არა მათთვის მუშაობაში ხელის შეშლას, რადგან, მათი აზრით, ეს შედეგად სექსინდუსტრიის მარგინალიზაციას და მის ჩრდილოვან სეგმენტში გადანაცვლებას გამოიწვევს.

# ამერიკა რეკორდულ კომპენსაციას გადაიხდის

ამერიკული ქვანახშირის კომპანია აშშ-ის ისტორიაში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ყველაზე საშინელი ავარიის კომპენსაციის სახით რეკორდულ თანხას, 210 მილიონ დოლარს გადაიხდის. მიმდინარე წლის აპრილში მომხდარი ავარიის შედეგად 29 ადამიანი დაიღუპა.

მაღაროების ახალი მფლობელი გარდა დაღუპულთა ოჯახებისათვის გათვალისწინებული კომპენსაციისა, გადაიხდის აგრეთვე ჯარიმებს და მაღაროს უსაფრთხოების სისტემასაც განაახლებს.

ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, დასავლეთ ვირჯინიის შტატის აპერ ბიგ ბრანჩის მარაღოში მომხდარი ავარია რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული, მათ შორის, მაღაროში მეთანისა და ქვანახშირის მტვრის არსებობით, აგრეთვე აღჭურვილობის გაუმართაობით.

მომხდარი ავარიის ფედერალური გამოძიების შედეგად გაირკვა, რმ მაღაროში საერთო ჯამში უსაფრთხოების ტექნიკის 369 წესი დაირღვა, რამაც აფეთქება გამოიწვია.

მიღწეული შეთანხმების თანახმად, კომპენსაცია უნდა გადაიხადოს კომპანია „ალფა ნეიჩერალ რესურსისმა“. ამ კომპანიამ მაღარო „მესი ენერჯი“ მიმდინარე წელს შეიძინა.

შეთანხმებაში ნათქვამია, რომ კომპანია უსაფრთხოების სისტემების განახლებისათვის 128 მილიონ დოლარს დახარჯავს, 25 მილიონი დოლარი უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევისათვის დაწესებული ფედერალური ჯარიმების დაფარვას მოხმარდება.

დაზარალებულებს 46.5 მილიონ დოლარს გადაუხდიან, ანუ თითოეული დაღუპულის ოჯახი კომპენსაციის სახით დაახლოებით ერთნახევარ მილიონ დოლარს მიიღებს.

ჯერჯერობით ავარიისათვის პასუხისგებაში მხოლოდ ერთი ადამიანია მიცემული, მაღაროს უსაფრთხოების უფროსი ჰიუ ელბერტ სტოვერი.

გასულ კვირას სასამართლომ იგი გამოძიებისათვის ყალბი ინფორმაციის მიწოდებისა და მაღაროს არქივის განადგურების მცდელობისათვის დამნაშავედ ცნო.

სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევებისათვის 210 მილიონი დოლარი ამ სახის შემთხვევებისათვის უდიდეს კომპენსაციას წარმოადგენს აშშ-ის ისტორიაში.

# აღმოჩენა იტალიაში

იტალიისა და მსოფლიოს 150-მდე ხელოვნებათმცოდნემ ხელი მოაწერა პეტიციას, რომელიც ფლორენციაში, პალაცო ვეკიოს ერთ-ერთი კედლის ფრესკის ქვეშ ლეონარდო და ვინჩის დაუსრულებელი ფრესკის ძებნის შეწყვეტას მოითხოვს.

ეს კედელი ლეონარდოს შემდეგ სხვა მხატვარმა, ჯორჯიო ვაზარიმ მოხატა.

როგორც ვარაუდობენ, ვაზარის ფრესკის „მარჩანოს ბრძოლა“ ქვეშ ლეონარდო და ვინჩის დაუსრულებელი ფრესკა „ანგიარის ბრძოლა“ არის დამალული.



გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ლეონარდო და ვინჩიმ „ანგიარის ბრძოლის“ ხატვა 1504 წელს დაიწყო, მაგრამ მუშაობა გარკვეული დროის შემდეგ შეწყვიტა, რადგან სახვითი ხელოვნების ექსპერიმენტული ტექნიკის გამოყენებისას გარკვეული პრობლემები შეექმნა.

1563 წელს ვაზარიმ ხუთასის დარბაზში კედლის მოხატვის შეკვეთა მიიღო და ამის შემდეგ ლეონარდოს ნახატი შეღებეს.

თუმცა, ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნე ამტკიცებს, რომ ვაზარიმ თავისი გენიალური წინამორბედის ქმნილების გაფუჭება არ ისურვა, ამიტომ და ვინჩის ნახატი ცრუ კედლით დაფარა და თავისი ფრესკა ამ კედელზე დახატა.

იტალიელი მკვლევარი მაურიციო სერაჩინი თავის მოსაზრებას იმით ასაბუთებს, რომ ვაზარის ნახატზე ერთ-ერთ ჯარისკაცს ხელთ უპყრია ფარი წეაწერით „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“.

გარდა ამისა, გასულ წელს კედლის რადიოლოკაციური შესწავლის დროს ვაზარის ფრესკის ქვეშ მცირე სიცარიელე აღმოაჩინეს. ამის შემდეგ სერაჩინის ხელმძღვანელობით მეცნიერების ჯგუფმა კედელი რამდენიმე ადგილას გახვრიტა და მიკროკამერების საშუალებით სცადა გამოერკვია, თუ რა იმალება კედლის იქით.

ფლორენციის მერის განცხადებით, კედლები გახვრიტეს მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ფრესკა უკვე დაზიანებული იყო, მაგრამ მრავალი ხელოვნებათმცოდნე ძებნის ამ მეთოდებით აღშფოთებული დარჩა.

მათი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვაზარის ფრესკის ქვეშ რამე დარჩა, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, ლეონარდოს ფრესკა სხვა კედელზე იყო განთავსებული. ერთ-ერთმა რესტავრატორმა სესილია ფროციონემ პროექტი ეთიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე დატოვა.

მოამზადა გენადი თვაურმა

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ძველებური ასტროლოგიური წიგნი; 2. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 3. ყურანის მიხედვით, მუსლიმანთა სამოთხეში მცხოვრები, მარად ნორჩი ლამაზი ქალები; 4. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 5. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 6. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 7. ქართული რადიო; 9. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 13. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 17. ელექტროტექნიკური იაპონური კონცერნი; 18. სოფელი სტეფანწმინდის რაიონში.

**თარაზულად:** 1. მაგნიტური ველის დაძაბულობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 8. მდინარე ყვირილას მარცხენა შენაკადი; 10. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 11. იორდანიის დედაქალაქი; 12. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 14. ვაშლის ქართული ჯიში; 15. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 16. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 19. წელში გამოყვანილი სამხედრო ყაიდის ქურთუკი; 20. ოთხსიმიანი, ხემიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. ესტონეთის დედაქალაქი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „გორდონსი“; 2. მექსიკა; 3. ატამი; 4. „ფაიზერი“; 5. თამბაქო; 10. მაღარიჩი; 11. ეფრემვერდი; 12. სილეზია; 15. პარტიტურა; 16. სკეტჩი; 17. ბურნაკუ; 20. ცერნი.

**თარაზულად:** 6. კონცენტრატი; 7. ცანგალა; 8. „ალიგოტე“; 9. ენესკუ; 13. „კოდა“; 14. აფონია; 18. დეკორაცია; 19. ბურჟე; 21. ვერძი; 22. გიურზა; 23. კუსტურიცა; 24. პლასტიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „პიგმალიონი“; 2. კაკაჩი; 3. გრდემლი; 4. ბრიჯი; 5. „სიტროენი“; 6. „გიუმი“; 7. ბოლვერა; 9. რუტერი; 13. „გაყრა“; 17. მახა; 18. კია.

**თარაზულად:** 1. პარსეკი; 3. გუთები; 8. „მიმინო“; 10. ჯასპერი; 11. ტარტუ; 12. ნიამორი; 14. ლივრეა; 15. „სპირალი“; 16. ნამჯა; 19. უჯრედი; 20. ნიგერია; 21. ბანანი.

# მოსკოვში საპროტესტო აქციის 600-მდე მონაწილე დააკავეს

მოსკოვში, ტრიუმფალურ მოედანზე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ გამართული აქციის 600-მდე მონაწილე დააკავეს.

რუსული სააგენტოების ცნობით, დაკავებული აქტივისტების უმრავლესობა ამ დრომდე პოლიციის განყოფილებებში რჩება.

„ინტერფაქსის" ინფორმაციით, ტრიუმფალურ მოედანზე გამართულ აქციაში გუშინ დაახლოებით 2 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. პარალელურად იქვე „ედინაია როსიას" აქტივისტების აქციაც მიმდინარეობდა, თუმცა პოლიციამ მხოლოდ ოპოზიციონერები დააკავა.

პოლიციის განყოფილებებში აქტივისტებთან ერთად „იაბლოკოს" ლიდერი სერგეი მიტროხინი, „სოლიდარნოსტის" პოლიტსაბჭოს წევრი ბორის ნემცოვი, „დრუგაია როსიას" ლიდერი ედუარდ ლიმონოვი, „გაზეტა.რუს" მიმომხილველი ბოჟენა რინსკაც აღმოჩნდნენ. ყველა მათგანი, დაკავებულების უმრავლესობისგან განსხვავებით, გუშინ საღამოსვე გაუშვეს.

„სოლიდარნოსტის" აქტივისტ ილია იაშინსა და ბლოგერ ალექსეი ნავალნის სასამართლომ 15 დღიანი პატიმრობა მიუსაჯა.

მოსკოვში საპროტესტო აქციაში მონაწილეობისთვის დაკავებულთა შორის ორი ქართველიც აღმოჩნდა.

ინტერნეტპორტალ „კასპაროვ.რუ"-ს ინფორმაციით, ბასმანის სასამართლოში დაკავებულთა საქმეებს მოსამართლე მარია მოსკალენკო იხილავს. დაკავებულებს 10-დან 15 დღემდე თავისუფლების ადმინისტრაციული წესით აღკვეთა ესჯებათ.

„კასპაროვ.რუ"-ს კორესპოდენტის ინფორმაციით, სასამართლოსთან დაკავებულებით სავსე რამდენიმე ავტობუსი დგას. მისივე ინფორმაციით, 10-დან 15 დღემდე თავისუფლების ადმინისტრაციული წესით აღკვეთა უკვე მიუსაჯეს სერგეი ვლასოვს, პავლე პაეხომენკოს, ვიტალი აფაქიძეს, გეორგი ჯალაღონიასა და ეგორ სარგსიანს.

როგორც ინტერნეტპორტალი იუწყება, სასამართლოზე ჩვენებებს მხოლოდ პოლიციელები იძლევიან. მოსამართლე ადვოკატების არც ერთ შუამდგომლობას არ აკმაყოფილებს.

ამასთან, სასამართლოში დაკავებულთა მხარდასაჭერად 100-მდე მოქალაქე მივიდა.

ღია რეპრესიების მიუხედავად, სოციალურ ქსელებში გაჩნდა მოწოდებები, არჩევნების ფალსიფიკაციის გამო, 10 დეკემბერს სრულიად რუსეთის საპროტესტო აქციის გამართვის შესახებ.

ფეისბუქ-ში შექმნილი ჯგუფი უკვე 6 ათასზე მეტ ადამიანს აერთიანებს. მოსკოვში გასამართი აქცია, რომლის ორგანიზატორი „სოლიდარნოსტი" იქნება, უკვე შეთანხმებულია ხელისუფლებასთან. აქციის მონაწილეთა რაოდენობა 300 ადამიანითაა განსაზღვრული.

ამ ფონზე, რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საერთაშორისო დამკვირვებლებს შენიშვნას აძლევს. ცესკო-ს თავჯდომარესთან, ვლადიმერ ჩუროვთან შეხვედრისას მედვედევმა განაცხადა, რომ ისეთი საკითხი, როგორიც პოლიტიკური პარტიების რაოდენობაა, რუსეთის მთავრობის პრეროგატივაა და მასში გარე ძალა არ უნდა ჩაერიოს.

მედვედევის თქმით, მალე ალბათ რუსეთს ჭკუის სწავლებასაც დაუწყებენ თუ როგორ დაწეროს საკუთარი კონსტიტუცია.

— საკითხი პარტიების რაოდენობის შესახებ რუსეთის ხელისუფლების კომპეტენციაა და არა საერთაშორისო ორგანიზაციების. მათ მიერ არჩევნების დაკვირვება მისაღებია, მაგრამ ის, თუ როგორ არის მოწყობილი ჩვენი პოლიტიკური სისტემა, მათი საქმე არ არის. მალე ალბათ იმასაც გვეტყვიან, როგორ დავწეროთ საკუთარი კონსტიტუცია, — განაცხადა მედვედევმა.

საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით კი, „აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ეუთო-ს მიმართ უპატივცემულობა გამოავლინა და აშშ-ის საარჩევნო კამპანიის გათვალისწინებით, საინფორმაციო



სივრცეში დამატებითი ქულების მიღებას შეეცადა".

ასე გამოეხმაურა ლავროვი კლინტონის მიერ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისადმი გამოთქმულ კრიტიკას.

„ვთვლი, რომ ეს არის ეუთოსადმი უპატივცემულობა. თუ ჩვენ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები გვაქვს და გვსურს, შესაბამისი საკითხები გადავწყვიტოთ, ეს პირდაპირი დიალოგის გზით კეთდება და საინფორმაციო სივრცეში რაღაც დამატებითი პოლიტიკური ქულების მოსაგროვებლად არ გამოიყენება", — განაცხადა ლავროვმა ვილნიუსში გამართულ ბრიფინგზე.

ვილნიუსში, ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ „რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები არც თავისუფალი და არც სამართლიანი იყო".

ხოლო, ეუთო-ს დამკვირვებლები და დასავლეთი შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ არჩევნების პროცესში და ზოგადად საარჩევნო გარემოს კუთხით რუსეთში მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა.

ევროკავშირი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ მედიაში გავრცელებული ინფორმაციითა და საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნით შეშფოთებულია.

„როიტერის" ცნობით, ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო ურთიერთობათა საკითხებში, ქეთრინ ეშტონმა განაცხადა.

— ინფორმაცია პროცედურული დარღვევების შესახებ მედიაში ობიექტური ცნობების უკმარისობა, მმართველი პარტიისა და მთავრობის მჭიდრო კავშირი, ასევე, დამოუკიდებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციების დასკვნები — ეს ყველაფერი ჩვენს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, — აღნიშნა ქეთრინ ეშტონმა.

არჩევნებს ევროპარლამენტის თავმჯდომარე ეჟი ბუზეკიც გამოეხმაურა. მისი თქმით, „საარჩევნო გარემო რუსეთში დაბალი კონკურენციის პირობებში წარიმართა და ხმის მიცემა დარღვევებით ჩატარდა, რასაც თან ახლდა დამოუკიდებელ დამკვირვებლებზე ზეწოლა".

ბუზეკმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ „არჩევნებზე ევროპარლამენტის დამკვირვებლები არ დაუშვეს".

მან ასევე ბოლო დღეებში ოპოზიციონერების დაკავების ფაქტებიც გააკრიტიკა.

რუსეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვიდო ვესტერველემაც გააკრიტიკა.

„დოიჩე ველეს" ინფორმაციით, ამის შესახებ ვესტერველემ ვილნიუსში, ეუთო-ს მინისტერიალზე განაცხადა.

მისივე თქმით, „ეუთო-ს დამკვირვებლების დასკვნა მოწმობს, რომ რუსეთს ამ ორგანიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი".

ამასთან, ვესტერველემ რუსეთს არჩევნების მასობრივი გაყალბების ფაქტების გამოძიებისკენ მოუწოდა.

სათათბიროს არჩევნებს არანაკლები კრიტიკა თავს დაატყდა თვითონ რუსეთშიც.

საბჭოთა კავშირის ექსპრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს არასამართლიანად მიიჩნევს და ხელისუფლებას ახალი არჩევნების ჩატარებას სთავაზობს.

— ყოველდღიურად სულ უფრო მეტ რუსს არ სჯერა, რომ არჩევნების შედეგები სამართლიანია. ჩემი აზრით, საზოგადოებრივი აზრის იგნორირება ხელისუფლების დისკრედიტაციას და სიტუაციის დესტაბილიზაციას იწვევს, — განაცხადა გორბაჩოვმა „ინტერფაქსთან" საუბრისას.

მისივე აზრით, „მოქმედმა ხელისუფლებამ მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს — არჩევნების შედეგების ანულირება მოახდინოს და ახალი ჩაატაროს".

გორბაჩოვის ინიციატივას არავინ გაიზიარებს, რადგან კრემლის ტანდემი უკვე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საპრეზიდენტო კანდიდატად დასარეგისტრირებლად საბუთები დღეს თვითონ მიიტანა. ამის შესახებ „ინტერფაქსი" იუწყება.

სააგენტოს ცნობით, ვლადიმერ პუტინს, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი ორჯერ იყო, კანდიდატად დასარეგისტრირებლად საბუთები პირადად არასოდეს ჩაუბარებია.

„ედინაია რასიას" ყრილობაზე საპრეზიდენტო კანდიდატად ვლადიმერ პუტინი ერთხმად დასახელდა.

მოსკოვის გარდა, გუშინ აქციები სანკტ-პეტერბურგსა და სხვა ქალაქებშიც ჩატარდა. რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში პოლიციამ 100-მდე ადამიანი დააკავა.

# მოქალაქეობის ნაცვლად რუსეთმა კოსოვოელ სერბებს გადასაფარებლები და პროდუქტები გადასცა

რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტრომ კოსოვოელ სერბებს ჰუმანიტარული დახმარება გაუგზავნა. კოსოვოს ჩრდილოეთში ალბანელებთან გამწვავებული კონფლიქტის გამო, სერბები კვლავ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ.




დატვირთული ავტომობილების კოლონა კოსოვოში პოდმოსკოვიეს ნოგინსკიდან გაემგზავრა, — განუცხადა „რია ნოვოსტის" სამინისტროს საინფორმაციო სამმართველოს წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, რომ საკუთარი მდგომარეობით და ალბანური ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო 20 ათასმა კოსოვოელმა სერბმა, რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით მოსკოვს მიმართა, რაზეც მათ უარი მიიღეს.

ამის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლება კოსოვოელ სერბებს ჰუმანიტარულ დახმარებას დაპირდა.

შედეგად, 25 ავტომობილისგან შემდგარმა კოლონამ გეზი კოსოვოსკენ აიღო. სერბებს მობილურ ელექტროსადგურებს, გადასაფარებლებს, კვების პროდუქტებს, ჭურჭელს და საველე ავეჯს ჩაუტანენ. ტვირთი 284 ტონას იწონის.

კოსოვოში ავტოკოლონას 12 დეკემბრისთვის ელიან.

კოსოვოში მდგომარეობა სექტემბერში დაიძაბა, როდესაც პრიშტინა სერბეთის ადმინისტრაციულ საზღვართან სიახლოვეს მდებარე ორი საკონტროლო-გამშვები პუნქტის ხელში ჩაგდებას შეეცადა. საპასუხოდ, ამ რაიონში მცხოვრებმა სერბებმა პუნქტების მისადგომებთან ბარიკადები აღმართეს.

თავის მხრივ, კოსოვოში უსაფრთხოების საერთაშორისო ძალები (კფორ) არაერთხელ ამ ბარიკადების დანგრევას შეეცადნენ, რამაც მასობრივი შეტაკებები გამოიწვია. დაზარალებულები ორივე მხრიდან იყვნენ.

ნოემბრის ბოლოს, საერთაშორისო ძალების მეთაურობა სერბულ სათვისტომოს ღიად დაემუქრა, რომ სამშვიდობოები პროტესტანტების განდევნისთვის საბრძოლო ტყვიებს გამოიყენებენ.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



მოულოდნელად გარდაიცვალა
**გარი ყოლბაია**

ამიტომ ვერ შევეგუეთ მისი სიკვდილის გარდუვალობას. გარდაიცვალა და ბევრი კარგი საქმე დარჩა გასაკეთებელი. სიკვდილმა არ მისცა მას იმდენი დრო, რომ ბოლომდე დახარჯულიყო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ჩატეხილი ხიდის აღდგენაში. მასში ხომ ერთნაირი სიმძლავრით ჩქეფდა აფხაზური და ქართული სისხლი და ამიტომ, თან გაჰყვა ამ ორი ძმური ხალხისადმი უანგარო სიყვარული. გარის უხაროდა სულ პატარაც კი, რაც გვაახლოვებდა აფხაზებსა და ქართველებს და ძალიან განიცდიდა იმას, რომ ასე რთულად და მძიმედ მიდიოდა ჩვენი ურთიერთობების აღდგენა. ყველაფერს აკეთებდა, რომ თავისი წვლილი შეეტანა ადამიანური ურთიერთობების ახალ სიმაღლეებზე წამოწევაში. მას უზომოდ უყვარდა საქართველო და მის ფარგლებში მშობლიური აფხაზეთი და თავისი ოდაბადე კვიტოული (კუტონი), ეალერსებოდა წინაპრების კუთხეს — ჭუბურხინჯს.

ეს სიყვარული მას გაჰყვა ბოლომდე. დარწმუნებული ვართ, მისი რწმენა, რომ აფხაზები და ქართველები ერთმანეთს დაუბრუნდებიან, აუცილებლად ასრულდება.

ღრმა მწუხარებით იუწყებიან გარი ყოლბაიას უდროოდ გარდაცვალებას და ყოლბაიების სახელით სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს

*ჯუმბერი, ვახტანგი, მურმანი, ჯამბური, თამაზი, ჯანიკო, თენგო, რაბო, რატი, ოთარი, რამინი, გოგი, მანუჩარი, ზურაბი, დავითი, გიორგი*

ქ.ზუგდიდის მე-6 სკოლის 1961 წლის გამოშვება იუწყება თანაკლასელისა და სიყრმის მეგობრის

**ვაროლი ვარლამის ძე ჯინჯოლავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 8 დეკემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ევროპული არჩევანი **13.50** აღმოაჩინე საქართველო **14.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **15.00** სერ. **"ნიკიტა"** **17.00** პირველი ტელევიზია **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** სერ. **"ნიკიტა"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** სი ბემოლი **01.20** საფარი **01.50** მხ. ფილმი **"სამოქალაქო სარჩელი"** (ჯ. ტრავოლტა) **03.50** მხ. ფილმი **"ბოულინგის მეფე"** (**15**) (პ. ფარელი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"ორმაგი შეცდომა"** **01.00** მხ.ფ. **"უძლური ცეცხლი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ჯეოსტარის კონცერტი (გან.) **18.45** სერ. **"მიუყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** პროფილი **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 2"** **00.00** ავტობიოგრაფია **00.40** რემონტი **01.30** მხ. ფილმი **"დაბრუნება ბრაიდსჰედში"** (**12**) (მ. გუდი) (სუბტ.) **04.05** მხ. ფილმი **"წინასწარმეტყველი"** (**12**) (ნ. კეიჯი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"მერლინი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი **16.00** დოკ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"დონ კიხოტი"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** სერ. **"ექიმი ქმორი"** **10.00** დოკ. ფილმი **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.10** სერ. **12.50, 19.35** სერ. **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"განგაში"** **13.30** კონცერტი — თბილისური ავტოგრაფი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** მხ. ფილმი **"ნიურბერგის პროცესი"** მე-**2**ს. **16.15** დოკ. ფილმი "ბედი და იალქანი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ჩვენი ეზო"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გამოყენებითი ხელოვნება **21.35** აქტუალური თემა **22.25** დოკ. ფილმი "რეზო ჩხეიძე" **22.40** დოკ. ფილმი "უფსკრულის ხმა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი **"წითელი ბუშტი"** **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი — ენიო მორიკონე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**8 დეკემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

## ამინდის პროგნოზი 8 დეკემბრისთვის

__აღმოსავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 11–13, ღამით — 4–6

__დასავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა, დღისით — 17–22, ღამით — 9–12

__სამხრეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა, დღისით — 5–10, ღამით — -8–2






# 30 ნოემბრიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

## პირველი ტომი – ტირანები

ისტორიის 100 ყველაზე სასტიკი დესპოტი და დიქტატორი

გამოსაცემად მზადდება:

- 100 გამოჩენილი მხედართმთავარი
- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- კანიბალიზმის ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## ასტროპროგნოზი 8 დეკემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

__წარმატებული დღეა__

**ვერძი** – სახლში კარგი ამბავია, ვიღაცა თხოვდება. **კურო** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, ახალმა საქმემ გაამართლა. **ტყუპები** – ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** – საქმე კარგად არის, რაც თქვენი დამსახურებაა. **ლომი** – ცოტა ხანში თავს მშვენივრად იგრძნობთ. **ქალწული** – არ არის საჭირო ზედმეტი აქტიურობა, საწადელს ისედაც მიაღწევთ. **მშვილდოსანი** – თავს მიხედეთ, არ გადაიღალოთ. **თხის რქა** – ყველაფერი კარგად გაქვთ, მალე დიდ სიხარულს ეწევით. **მერწყული** – გზიდან სასიხარულო ამბავს გაიგებთ. **თევზები** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** – დიდი ხნის წინ დაკარგულ მეგობარს შეხვდებით. **ღრიანკალი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, ყველაფერი კარგად არის.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სკანდინავიური სახელწოდება; 2. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 3. ფრანგული კომედიური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 4. ირანის პარლამენტი; 5. ქალის სასიმღერო ხმა; 10. მეფეთა რეზიდენცია მადრიდში; 11. კბილის ამოღების ოპერაცია; 12. ტროპიკული ხილი; 15. „შუშანიკის წამება“-ს ავტორი; 16. ბეღურასნაირთა ოჯახის ფრინველი; 17. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ხმის სახშობი მოწყობილობა; 20. ვარდისებრთა ოჯახის ხილი.

**თარაზულად:** 6. ჟურნალისტთა ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 7. თავადაზნაურთა ტიტული ევროპაში; 8. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 9. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი; 13. ლობიოს მსგავსი პარკოსანი მცენარე; 14. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 18. საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიცია; 19. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში; 21. თოფზე ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე; 22. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 23. სპაგეტის დასამზადებლად გამოყენებული იტალიური ყველი; 24. შტატი აშშ-ში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# ეროვნული ნაკრები სეზონს 29 თებერვალს გახსნის

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები 2012 წლის სეზონს თბილისში, საკუთარ მოედანზე, ალბანეთის ეროვნულ ნაკრებთან მატჩით გახსნის.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ალბანურ მხარესთან და სიტყვიერი შეთანხმებაც არსებობდა. საბოლოოდ, ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციიდან სფფ-ში ოფიციალური წერილი მოვიდა, სადაც დადასტურებულია, რომ 2012 წლის 29 თებერვალს ალბანეთის ეროვნული ნაკრები ამხანაგურ შეხვედრას გამართავს საქართველოს ეროვნულ გუნდთან. ცნობილია ისიც, რომ მატჩი „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე გაიმართება.

**მ. ჟ.**



# ეთერ კაკულია იუბილარია

*ეკა ირემაშვილი*

გასულ კვირას მომღერალმა ეთერ კაკულიამ მეგობრების წრეში იუბილე აღნიშნა. ტრადიცია მომღერალმა არც ამჯერად დაარღვია და თავისი ასაკი არ გაამხილა. როგორც ხელოვანი ამბობს, უკვე წლებია 33 წლის არის და იმდენად მიეჩვია ამ ციფრს, რომ რეალურად თვითონაც დაავიწყდა რა ასაკისაა.



ეთერ კაკულიას იუბილე რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნა. საქართველოს სახალხო არტისტმა თავისი შემოქმედების მანძილზე სხვადასხვა კომპოზიტორის მიერ დაწერილი 200-მდე სიმღერა შეასრულა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, სტუდია „ინკოგნიტომ“ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალაში“ მომღერალს სადღესასწაულო მიღება გაუმართა, მისი ახლობლების და კლასელების მონაწილეობით მოეწყო დოკუმენტური ფილმის ჩვენება, რომელიც სხვადასხვა წლებში ეთერ კაკულიას ინტერვიუებით შეიქმნა. სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ეთერ კაკულიამ ბოლო წლებში მისთვის დაწერილი სიმღერები შეასრულა, რომლებსაც პირადად ავტორები და კომპოზიტორები უკრავდნენ. საღამოს ჟურნალისტი ნუგზარ რუხაძე უძღვებოდა. კომპანია „ფასტ პლუსმა“ და რესტორანმა „კრწანისმა“ კი დამაგვირგვინებელი სპეციალური მიღება გამართა, რომელსაც ეთერ კაკულაის მეგობრები და მიწვეული სხვა სტუმრები ესწრებოდნენ.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# იუმორი



* * *

ხანდაზმული ცოლ-ქმარი საწოლ ოთახშია. ქმარს ეძინება, ცოლი კი რომანტიკულ ხასიათზეა და ალერსი მოუნდა. ქმარს ეუბნება.

– დანიშნულები რომ ვიყავით, ხელიხელჩაკიდებული სიარული გიყვარდა.

ქმარმა ბუზღუნით ამოიღო ხელი საბნიდან, რამდენიმე წამით ხელზე მოჰკიდა და კვლავ დაძინებას ცდილობს.

ცოტა ხნის შემდეგ ცოლმა კვლავ წასჩურჩულა.

– ჩემი კოცნაც გიყვარდა ხოლმე.

ქმარი შემობრუნდა, ლოყაზე აკოცა, უკან გადაბრუნდა და დაიძინა.

ნახევარი წუთის შემდეგ ცოლი კვლავ ეუბნება:

– გარდა ამისა, კისერზე ნაზად კბენაც გიყვარდა.

გაცოფებულმა ქმარმა საბანი გადაიძრო და საწოლიდან წამოვარდა.

– სად მიდიხარ?

– კბილების მოსატანად...

* * *

ავადმყოფის მეუღლე ექიმს მიმართავს:

– რა თქმა უნდა, ექიმო, მის გალიზიანებას არ ვაპირებ. ძალიან ფრთხილად მოვიქცევი. მხოლოდ იმას შევახსენებ, რომ ანდერძი აქვს დასაწერი...

**გ. თ.**

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი